კვირეული „ვერსია“

ვერსია

№30 (1671) 16 — 22 აგვისტო ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

რას მოიცავს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია

ტრანსპორტი და ლოგისტიკა პრემიერის ყოველწლიურ ანგარიშში

რუსული გაკვეთილების სისხლიანი ქრონიკა

როგორ დაიწყო აფხაზეთში ომი

რა ვითარებაა აფხაზეთში, ომიდან 31 წლის შემდეგ

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ვინ არის კაცი, რომელიც სამოთხის ბილეთებს ჰყიდდა

რატომ სცემა ძმამ დას სასიკვდილოდ – სისხლის სამართლის უცნაური საქმის დეტალები

„ეს იქნება ოპოზიციის მარცხი!“

რა სიახლეებს ელის ვახტანგ ძაბირაძე პოლიტიკაში შემოდგომიდან

უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი 50 წლის ასაკში გარდაიცვალა

ქართველი სამართალმცოდნე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი 50 წლის ასაკში გარდაიცვალა.

კოტე კუბლაშვილი 2000 წელს დაინიშნა საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრად. 2000-2002 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, სამინისტროს საპარლამენტო მდივანი.

2002-2004 წლებში მუშაობდა იურიდიულ ფირმაში „ქართველი ადვოკატები სამართლიანობისათვის“ იურისტად. 2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარებისა და რეფორმების ფონდის ჯერ მეურვეთა საბჭოს წევრად, ხოლო შემდეგ ფონდის დირექტორად.

2005-2015 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

გაზეთ „ვერსიის“ რედაქცია და საინფორმაციო სააგენტო „ჰოტ ნიუსი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კოტე კუბლაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და ახლობლებს.

შინაგან საქმეთა მინისტრი მამისონის სასაზღვრო სექტორში იმყოფებოდა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, მეორე დღეა, რაჭაში, ონის მუნიციპალიტეტში იმყოფება. მინისტრი სტიქიის ზონიდან მამისონის სასაზღვრო სექტორზე გაემგზავრა.

ვახტანგ გომელაური რაჭაში, სასაზღვრო სექტორში არსებულ ვითარებას დეტალურად გაეცნო.

მინისტრი სექტორში მომუშავე მესაზღვრეებს შეხვდა, გაესაუბრა და მათგან მოისმინა სასაზღვრო სექტორში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია.

სტიქიის ღამეს, მამისონის სექტორში მომუშავე მესაზღვრეებმა რვა ადამიანის სასაზღვრო სექტორში უსაფრთხოდ გადაყვანა უზრუნველჰყვეს და მთელი ღამის განმავლობაში, მათ უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ.

მამისონის სასაზღვრო სექტორში, მინისტრთან ერთად, მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ვახტანგ გომელაური ონში, სტიქიის ზონაში ჩავიდა და მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური რაჭაში, ონის მუნიციპალიტეტში იმყოფება.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სტიქიის ზონა ვერტმფრენიდან დაათვალიერა და მიმდინარე სამუშაოების მასშტაბებსა და ძებნა-შველის სამუშაოებს დეტალურად გაეცნო.

ვახტანგ გომელაური სტიქიის ეპიცენტრში მომუშავე მეხანძრე-მაშველებსა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს გაესაუბრა და ძებნა-შველის ღონისძიებებს დაესწრო.

მინისტრმა სამუშაო შეხვედრა საველე შტაბშიც გამართა, სადაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის, თემურ მღებრიშვილისგან არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია მიიღო.

შეხვედრას ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწუნებული, პაპუნა მარგველიძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

შინაგან საქმეთა მინისტრი შეხვდა მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპული და დაკარგული პირების ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მინისტრმა მედიასთან კომენტარი გააკეთა და შოვში მომხდარი ტრაგედიის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებსა და ახლობლებს მიუსამძიმრა.

„პირველ რიგში, მინდა, ღრმა მწუხარება გამოვხატო დაღუპული ოჯახების მიმართ. ძალიან დიდი ტრაგედია მოხდა ნამდვილად, 24 ადამიანი ვნახეთ გარდაცვლილი. იცით, რომ ცხრა ადამიანს ვეძებთ ისევ. პირველივე საათებიდან ჩართულია სამაშველო სამსახური, ადგილობრივი პოლიცია, პრემიერს დავალებით, თავდაცვის სამინისტროც მალევე ჩაერთო. ასევე, ჩართულია ყველა სამსახური, ინფრასტრუქტურა, 60-მდე ტექნიკა მუშაობს. მიდის სამაშველო სამუშაოები, მაქსიმალურს აკეთებენ, რაც შეიძლებოდა, ამ უმოკლეს დროში გაკეთებულიყო. ასევე, ავიაციაც ჩართული იყო პირველივე დღეებში. თითქმის 60% ჩამოშლილი მიწის მასა, რაც არის, უკვე შემოწმებულია. პირველადი დონე, რაც იყო იქამდე, რამდენიმე დღე დასჭირდებათ ალბათ კიდევ, რომ მთლიანი მასა გადამუშავდეს და მერე გადაერთვება უკვე ლოკალურ სამუშაოებზე და ასევე, მდინარის 50 კმ-ის, დაახლოებით, ამბროლაურამდე მონაკვეთს ამუშავებენ და კონტროლდება“, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მედიის კითხვებს უპასუხა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შინდისის გმირთა ხსოვნას პატივი მიაგო და 17 გმირის საფლავი გვირგვინით შეამკო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, შიდა-ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული 17 გმირის ხსოვნას პატივი მიაგო და მათი საფლავი გვირგვინით შეამკო.

გმირთა მემორიალთან დაღუპულთა ოჯახის წევრები და ახლობლები იმყოფებოდნენ. აღევლინა დაღუპული მებრძოლების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი.

2008 წლის 11 აგვისტოს, რუსულ სამხედრო ნაწილთან უთანასწორო შეტაკების დროს, 17 ქართველი ჯარისკაცი გმირულად დაიღუპა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელი, მირიან ჭელიძე სამხედრო პატივით დაიკრძალა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ამბროლაურის რაიონული სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელი, პოლიციის მაიორი, 1975 წელს დაბადებული მირიან ჭელიძე, რომელიც ონის მუნიციპალიტეტში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაიცვალა, სამხედრო პატივით დაიკრძალა.

მირიან ჭელიძე სტიქიური უბედურების ზონაში, მიმდინარე სამაშველო ღონისძიებების ფარგლებში, საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა, რა დროსაც შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში მიყვანამდე, გზაში გარდაიცვალა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელი უკანასკნელ გზაზე გააცილეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა შალვა ბედოიძემ, მინისტრის მოადგილეებმა – გიორგი ბუთხუზმა, იოსებ ჭელიძემ, ალექსანდრე დარახველიძემ, ასევე, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელმა პირებმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, გარდაცვლილი პოლიციელის კოლეგებმა და ახლობლებმა.

საპატიო ყარაულმა გარდაცვლილის ხსოვნას პატივი საგანგებო ზალპით მიაგო, დაკრძალვის შემდეგ კი მისი ოჯახის წევრებს საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცა.

როგორ დაიწყო აფხაზეთში ომი



რუსული გაკვეთილების სისხლიანი ქრონიკა

ნინო დოლიძე

31 წლის წინ, 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში ომი დაიწყო, რომელიც 13 თვეს გაგრძელდა... 1989 წლის ივლისში, სოხუმში ვითარება უკიდურესად დაიძაბა... სოხუმის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა, მარტში მიღებულ ლიხნის დეკლარაციას, რომელიც აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფასა და დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას მოითხოვდა, აპროტესტებდა, რის გამოც, უნივერსიტეტი აფხაზი ნაციონალისტების გახშირებული თავდასხმის ობიექტი გახდა – ივლისში, უნივერსიტეტში, მისაღები გამოცდების დროს, ქართველ აბიტურიენტებს ფიზიკურად შეურაცხყოფდნენ, რამდენიმე დღეში, მღელვარება დაპირისპირებაში გადაიზარდა და 1989 წლის 17 ივლისს, სოხუმში ქართველ მოსახლეობასა და აფხაზ ნაციონალისტებს შორის, შეტაკება მოხდა. არეულობის დროს დაიღუპა – 16, დაიჭრა – 140 ადამიანი, მათი უმრავლესობა ქართველი იყო.

იმ დროისთვის საბჭოთა საქართველოში შექმნილი სიტუაციის გამო, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამ ფაქტზე შესაბამისი რეაგირება ვერ მოახდინა, ამიტომ სოხუმში ქართველ მოსახლეობაზე თავდასხმებმა სტაბილური ხასიათი მიიღო. 1992 წელს, აფხაზეთში სიტუაცია უკვე აფეთქების ზღვარზე იდგა. საქმე იქამდე მივიდა, რომ აფხაზურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ივლისში ადმინისტრაციული შენობები დაიკავეს, 1992 წლის 23 ივლისს, ვლადისლავ არძინბას ხელისუფლებამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა.

15 აგვისტოს, ქართველებმა დაბა განთიადში საზღვაო დესანტი გადასხეს. იმავე დღეს, დესანტმა ლესელიძე შტურმით აიღო. საქართველო-რუსეთის საზღვარზე ქართული დროშა აღიმართა. 19 აგვისტოს კი, შავნაბადას ბატალიონმა გაგრა და დაბა კოლხიდა უბრძოლველად დაიკავა. ქალაქის კომენდანტად დაინიშნა გაგრის „მხედრიონის“ მეთაური, ბადრი ფირცხელიანი, მის მოადგილედ კი – ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი, ჯონი ლატარია.

გაგრის დაკავების შემდეგ, გუდაუთაში გახიზნული არძინბას გუნდი ბლოკადაში მოექცა. სეპარატისტების კონტროლის ქვეშ, მხოლოდ ბიჭვინთა-ახალი ათონის მონაკვეთი რჩებოდა. ბლოკირებული იყო ქალაქ ტყვარჩელის ზონა, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ აფხაზები.

1992 წლის 3 სექტემბერს, მოსკოვში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, ედუარდ შევარდნაძის, რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და ვლადისლავ არძინბას შეხვედრა გაიმართა. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ 5 სექტემბრის 12.00 საათიდან, აფხაზეთში ცეცხლი შეწყდებოდა. დოკუმენტი აფხაზეთიდან დაქირავებულთა რაზმების გაყვანასა და ქართული საჯარისო ფორმირებების დისლოკაციის შეცვლასაც ითვალისწინებდა, თუმცა 3 სექტემბერის შეთანხმება არავინ შეასრულა და სისხლისმღვრელი ბრძოლები კიდევ 11 თვის განმავლობაში გაგრძელდა.

1993 წლის მარტში, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება ადგილობრივი სომხებისგან დაკომპლექტებული შენაერთი, ბაგრამიანის ბატალიონი.

1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმი დაეცა. სოხუმის დაცემა იყო ქართულ-აფხაზური შეიარაღებული, 1992-93 წლების კონფლიქტის ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლა, რომელსაც შედეგად ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი დამარცხება მოჰყვა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

სოხუმისთვის გადამწყვეტ ბრძოლას წინ უძღოდა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ, რომელიც სოჭში, 27 ივლისს, ორ მხარეს შორის დაიდო. შეთანხმება 16 სექტემბრამდე გაგრძელდა. ამ დღეს სეპარატისტებმა შეთანხმება დაარღვიეს და ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთის მისადგომებიდან. საქართველოს, შეთანხმების თანახმად, ამ დროისთვის, მძიმე შეიარაღების დიდი ნაწილი უკვე კონფლიქტის ზონიდან გაყვანილი ჰყავდა. გააფრთებული ბრძოლები გრძელდებოდა 27 სექტემბრამდე, თუმცა მასიურ შემოტევას, სუსტი შეიარაღებით, ქართულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს და ქალაქი საბოლოოდ დაეცა.

ქალაქის აღების შემდეგ, სეპარატისტთა მებრძოლებმა დარჩენილი მოსახლეობის არნახული ხოცვა მოაწყვეს. ადგილობრივი მთავრობის წევრები – ჟიული შარტავა, გურამ გაბისკირია და რაულ ეშბა, რომლებმაც გაქცევაზე უარი თქვეს, მთავრობის სახლის წინ დახვრიტეს, ხოლო ალექსანდრე ბერულავა უგზოუკვლოდ დაიკარგა. რამდენიმე დღეში, სეპარატისტთა ძალებმა აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია, კოდორის ხეობის გარდა, დაიკავეს.

საომარი მოქმედებების დროს დაიღუპა 20 000-30 000 ეთნიკური ქართველი, 250 ათასი კი, დევნილად იქცა.

რა ვითარებაა აფხაზეთში, ომიდან 31 წლის შემდეგ

ᲗᲐᲗᲘᲐ ᲒᲝᲩᲐᲫᲔ, 598-43-50-34

აფხაზეთის ომის დაწყებიდან 31 წელი გავიდა. 1992 წლის 14 აგვისტოს დაწყებული შეიარაღებული დაპირისპირება 13 თვეს გაგრძელდა... ომის დროს დაიღუპა და დაიკარგა ასობით, ხოლო დევნილად იქცა 300 000-ზე მეტი ადამიანი. რა ვითარებაა აფხაზეთში, ომიდან 31 წლის შემდეგ? – „ვერსია“ პოლიტოლოგს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო ყოფილ მინისტრ ᲞᲐᲐᲢᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ესაუბრა:

პაატა ზაქარეიშვილი: „აფხაზეთს უნდა შევთავაზოთ სხვა, ერთიანი სახელმწიფო და არა ის, რომ ოდესღაც კარგად ვცხოვრობდით“

– საქართველოს მოქალაქეებმა – პოლიტიკოსებმა, აქტივისტებმა და დაინტერესებულმა ადამიანებმაც უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ დრო გაყინული არაა და ყველაფერი იცვლება, შესაბამისად, აფხაზეთი 30 წლის წინ, სულ სხვა იყო და დღეს სულ სხვაა. მეტად გაუცხოებულია და ამას ემატება მითოლოგიზირებული ომი, გამძაფრებული, ლეგენდებით დახუნძლული. როგორც ჩვენთან ითხზვება ანტიაფხაზური ლეგენდები, ისევეა მათთანაც – ანტიქართული.

ეს მომენტი, იცით, დაახლოებით, რას ჰგავს? – მადლობა ღმერთს, საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, დაიშალა, ჩამოინგრა, ჩვენ წამოვედით და უკან დასაბრუნებელიც არ გვაქვს, საბედნიეროდ, მაგრამ სად მივდივართ, არც ეს ვიცით ანუ არავინ ლაპარაკობს, თუ რა უნდა შევთავაზოთ აფხაზებს... როცა მინისტრი ვიყავი, საკმაოდ თამამი, არაპოპულარული, მაგრამ ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი რამ ვთქვი, რის გამოც მთელმა საქართველომ გადამიარა...

– ფედერალიზმის საკითხს გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა, ფედერალიზმს, მაგრამ უფრო მკაფიოდ ვთქვი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩვენ და აფხაზებს ერთ სახელმწიფოში ერთად არ გვიცხოვრია. თუ გვიცხოვრია, იყო საბჭოთა კავშირი, მანამდე კი – რუსეთის იმპერია. მთელი 200 წელი, ერთ, ქართულ-აფხაზურ სახელმწიფოში არ გვიცხოვრია, ვცხოვრიბდით სხვა სახელმწიფოში. მანამდე ფეოდალიზმი იყო, სამთავროებად დაყოფილი საქართველო... ამიტომ, უნდა ვისაუბროთ არა წარსულიდან დღემდე, არამედ, დღეიდან მომავალზე. აფხაზეთს უნდა შევთავაზოთ რაღაც ახალი, სხვა, ერთიანი სახელმწიფო და არა ის, რომ ოდესღაც კარგად ვცხოვრობდით. ისინი გვეუბნებიან, რომ შეიძლება, მართლა ვცხოვრობდით კარგად, მაგრამ ეს საბჭოთა კავშირი და რუსეთის იმპერია იყო. გვინდა იქ წასვლა? – არც მათ უნდათ და საშინელ სიზმარშიც კი არ წარმოუდგენიათ რუსეთში ცხოვრება, ჩვენ ხომ არა და არ გვიხარია. შესაბამისად, საქართველოში დღემდე არ ხორციელდება გენერაცია მომავალზე ორიენტირებული აფხაზეთისა და ამიტომ, კითხვაზე რომ გიპასუხოთ – რა ხდება დღეს აფხაზეთში? – სრულიად გაუცხოებულნი არიან. 2014 წელს, ყირიმის ანექსიის შემდეგ, მიხვდნენ, რომ ნამდვილი დამოუკიდებლობა რუსეთისგან არ ექნებათ და ყველაფერი ეს ბლეფია.

ახლა კიდევ, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომი აჩვენებს, რომ არა მარტო დამოუკიდებლობაზე აღარაა ლაპარაკი, არამედ, სრულ ანექსიაზეა და დარწმუნებულები არიან, რომ როგორც კი რუსეთი, მათი აზრით, თავისას მიაღწევს (მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოხდება), მერე მისდგება აფხაზეთს... რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, განსხვავებით ოსებისგან... ოსებს ნებისმიერი ვარიანტი აწყობთ რუსეთთან მიერთების, აფხაზებს კი არც რუსეთის გამარჯვება აწყობთ, არც – დამარცხება, რადგან თუ რუსეთი გაიმარჯვებს, უფრო იოლად მიითვისებს აფხაზეთს, ხოლო თუ დამარცხდება, უფრო სასტიკი ფორმებით მოინდომებს, რომ აფხაზეთი არ დაკარგოს. ისინი გამოუვალ მდგომარეობაში არიან, ჩვენ კი არაფერს ვთავაზობთ, დადუმებულნი ვართ. როცა საქართველო ხმას არ იღებს, მათი ერთადერთი არჩევანი რუსეთშია. თვითონვე ალაგებენ რუსეთთან ურთიერთობებს, რაღაცებს თმობენ, რაღაცებს – არა. მაგალითად, არ თმობენ მიწას, საკუთრების გასხვისებას ანუ რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, აფხაზები ებრძვიან რუსეთის ანექსიას, მაგრამ ამას ისე აკეთებენ, რომ საქართველოს იმედი არ აქვთ.

– დიახ, ვნახეთ სოხუმის აეროპორტის გასხვისების საკითხზეც დიდი პროტესტი აფხაზეთში...

– ნაწილობრივ დაგეთანხმებით, რადგან რაც ჩამოვთვალე, იმ საკითხებს უფრო მძიმედ აპროტესტებენ. აეროპორტი მიუგდეს, ჯანდაბასო... ოღონდ, უძრავ ქონებას ნუ წამართმევ და აეროპორტზე თავში ქვა გიხლიაო... მოკლედ, უფრო იოლად დათმეს. მიწები, უძრავი ქონება, ბიჭვინთა არ მიუციათ ჯერ, ჭიდაობა მიდის.

– როგორც ამბობთ, აფხაზები განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან საკუთარ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამას წინათ, „რადიო თავისუფლების“ სტატიაში შემხვდა აფხაზების ფრაზა – „ ჩვენ გვემუქრება უბიხების ბედი“... როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს გარდამტეხი, რაც აფხაზებს რუსეთისგან მომავალ საფრთხეს მკაფიოდ დაანახებს და საქართველოსკენ შემოატრიალებს? რა უნდა შესთავაზოს საქართველომ?

– დიდი მადლობა ამ კითხვისთვის... ასეთ კითხვებს, როგორც წესი, არც ჟურნალისტები და არც ექსპერტები ვსვამთ – რა უნდა გავაკეთოთ? – ამ 30-მა წელმა გვაჩვენა, საით მიდის რუსეთი აფხაზეთის მიმართულებით და რა არ უნდა აფხაზეთს. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაწეროს რაღაც კონცეფცია ფედერაციული მოწყობის. რაც უნდა ვლანძღოთ შევარდნაძე და მე პირველი ვლანძღავდი, მაგრამ თუ ვინმე წერდა კონცეფციას ფედერაციაზე, შევარდნაძის დროს იყო. მაშინ სასაცილოდ არ მყოფნიდა, ახლა კი სანატრელი მაქვს, გულახდილად რომ გითხრათ. მართლა სასაცილო რაღაცები ეწერა, მაგრამ იმდროინდელი მთავრობა რაღაცას მაინც ჩხირკედელაობდა, დღეს კი ესეც არ კეთდება ანუ რა უნდა კეთდებოდეს – მკაფიოდ უნდა ჩანდეს, რა აწუხებს აფხაზებს და ეს გაიწეროს ფედერაციულ მოწყობაში, მაგალითად, უნდა ჩავწეროთ, რომ ვინც იცხოვრებს ფედერაციულ მოწყობაში, აფხაზეთის ტერიტორიაზე, მიწაზე საკუთრება იქნება სახელმწიფოსი, გარდამავალ პერიოდამდე და მათ მიწას ვერავინ შეეხება ანუ ის უნდა შევთავაზოთ, რის გამოც ეშინიათ რუსეთის. მეორე საკითხი ეხება უძრავ ქონებას, ამიტომ უნდა ვუთხრათ – არაა სწორი, რომ უძრავი ქონება არ იყიდება, მაგრამ რაკი თქვენი პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ უძრავი ქონება იყოს მკაცრად გაკონტროლებული, ჩვენ დავეთანხმებით ანუ ყველაფერი ის, რისიც ეშინიათ რუსეთისგან, ჩვენ უნდა შევთავაზოთ. უნდა შემოვიღოთ არა ორმაგი, არამედ, ორჯერადი მოქალაქეობა.

– ეს რას ნიშნავს?

– აფხაზეთში მცხოვრები ყველა მოქალაქე ავტომატურად იქნება საქართველოს მოქალაქე და მიიღებს იმ სიკეთეებს, რასაც საქართველოს სახელმწიფო შესთავაზებს, მაგრამ საქართველოს ყველა მოქალაქე ვერ მიიღებს ყველა იმ სიკეთეს, რაც იქნება უშუალოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე, გარდა დევნილებისა, იმ ადამიანებისა, ვინც იქ ცხოვრობდა. დევნილების დაბრუნება უნდა იყოს ცალკე პროცედურა, ნებაყოფლობითი, მშვიდობიანი, უსაფრთხო. დანარჩენზე აფხაზეთის მცხოვრებლებმა უნდა შეიმუშაონ თბილისთან ერთად ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს მათ უსაფრთხოებას; აუცილებლად უნდა იყოს შეთავაზებული ისეთი იურიდული, კონსტიტუციური სისტემა, რომელიც უზრუნველჰყოფს მათი იდენტობის – ენის, კულტურის გადარჩენას; უნდა იყოს შეთავაზება, რომ აფხაზეთში არჩეული დეპუტატები ავტომატურად გახდებიან საქართველოს პარლამენტის წევრები; საქართველოს კონსტიტუციაში ჩადებული უნდა იყოს, რომ აფხაზეთის დეპუტაციას საქართველოს პარლამენტში ექნება უფლება, დაბლოკოს ნებისმიერი კაბონპროექტი, რომელიც აფხაზეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ოღონდ ეს უნდა იყოს, რა თქმა უნდა, არგუმენტირებული; აფხაზეთი უნდა იყოს ფედერაციის ერთ-ერთი უმნიშვნელივანესი სუბიექტი.

მას შემდეგ, რაც რუსეთი ვერ მიაღწევს თავის მიზანს უკრაინაში, ამ ფონზე, საქართველო მზად უნდა იყოს და აფხაზებსა და ოსებს შესთავაზოს კონცეფციები, ახალი რეალობიდან გამომდინარე.

– ალბათ, ქართველები და აფხაზები დიდი ხნის წინ შეეძლებდით საუბარს, რომ არა რუსეთი... ერთხელ თქვით, რუსეთს უნდა დავუპირისპიროთ ძალა, რომელიც მას არ გააჩნია და ეს არის მშვიდობა და დემოკრატიაო... ჯერჯერობით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებს მხოლოდ მშვიდობას ვთავაზობთ...

– არ ვთავაზობთ მშვიდობას, ვთავაზობთ ომის საფრთხეს, არიქა, ომი შეიძლება იყოსო. „ქართული ოცნება“ იტყუება, რადგან საფრთხე არ არსებობს, მაგრამ ამით აშინებს აფხაზებს, რომ თურმე, ომის პრობლემა გვაქვს. დღეს, „ქართული ოცნება“ გადავიდა ომის შანტაჟზე, რომ ომს თავიდან ვიცილებთ; რომ არიან ბოროტი ძალები – ევროპა და აშშ და ჩვენ გვაიძულებენ, ომი დავიწყოთ – აფხაზებს ეს რომც არ სჯეროდეთ, ამის მოსმენა აწყობთ ანუ მე, როგორც აფხაზი, გიპასუხებდით – კარგი, რა, ძვირფასო, რა დროს მშვიდობაზეა ლაპარაკი, ომიდან ჯერ კიდევ ვერ გამოსულხართ-მეთქი...

– ბოლოს, ბატონო პაატა, რას ფიქრობთ, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მივიღებთ?

– ეს არათუ მე, ჯერ ევროპაშიც არ იციან. იქ ორი ძირითადი პოზიციაა – ერთი ამბობს, ქართველ ხალხს უნდა მივცეთ კანდიდატის სტატუსი მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ცუდად იქცევა, რადგან ქართველმა ხალხმა დაიმსახურა ესო. ხოლო მეორე მხარე ამბობს, რომ ხალხი კი იმსახურებს, მაგრამ ნახეთ, ბელარუსში რა ხდება, მთელი მოსახლეობა წინააღმდეგია ლუკაშენკოსი და ამის მიუხედავად, ბელარუსი ემუქრება პოლონეთს, ყველას და ბირთვული იარაღი განალაგა თავის ტერიტორიაზე ანუ ხელისუფლება მაინც ფაქტორია. ჩვენ კი გვინდა, ქართველ ხალხს მივცეთ კანდიდატის სტატუსი, მაგრამ ხელისუფლება როგორ გამოიყენებს ამასო? – გამოიყენებს რუსეთის გასაძლიერებლად, ევროკავშირის წინააღმდეგ ანუ ახალი „ტროას ცხენი“ ხომ არ იქნება, როგორც უნგრეთი?... მოკლედ, ვინც ეწინააღმდეგება, მათ სერიოზული არგუმენტი აქვთ. ქართველ ხალხს გაუმარჯოს, მაგრამ „ქართული ოცნება“ რამდენად არ იქნება ლუკაშენკო, თუ ურბანიო... არგუმენტები კანდიდატობის მიღების მხარეს არის ის, რომ თუ საქართველოს დღეს ეტყვიან უარს, „დიდი რუსული ღამე“ დადგება არა მარტო საქართველოში, არამედ, კავკასიაში. საქართველოს უყურებს აზერბაიჯანში სამოქალაქო სექტორი და დემოკრატიული მოძრაობები, სომხეთი და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული სამოქალაქო სექტორი და დემოკრატიული ძალები ანუ თუ საქართველომ ვერ „გაქაჩა“, მთელ კავკასიაში ისადგურებს „რუსული ზამთარი“, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტია და მგონია, რომ ეს გადაწონის კანდიდატობის მოცემის საკითხს.

„ეს იქნება ოპოზიციის მარცხი!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რა სიახლეებს ელის ვახტანგ ძაბირაძე პოლიტიკაში შემოდგომიდან

საქართველოში პოლიტიკურად პასიური პერიოდია... აგვისტოა და ისვენებენ პოლიტიკოსები, განსაკუთრებით, ოპოზიციის ფლანგზე შეინიშნება უძრაობა... სექტემბრიდან როგორ პოლიტიკურ ახალ სეზონს უნდა ველოდოთ; რა მხრივ გააქტიურდება ოპოზიცია და როგორი იქნება 2024 წლის საარჩევნო კამპანიის სტარტი? – „ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა:

– აგვისტოში არა მარტო საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში პოლიტიკური პროცესები შენელებულია. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში ომი მიმდინარეობს, იქაც კი მუშაობს აგვისტოს თემა. ასე რომ, საქართველოშიც ასეთი ვითარებაა.

ყველაფერი იწყება სექტემბერში, ახალი პოლიტიკური სეზონი იხსნება. ჩვენთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მომავალი წელი საარჩევნოა და პოლიტიკური სპექტრი, თუ ოპოზიციას ვიგულისხმებთ, ჯერ არც დალაგებულა და არაფერი შეცვლილა ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში. თავისთავად, ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესები საინტერესოა, მაგრამ ამას, ჯერჯერობით, ოპოზიციური სურათი კარდინალურად არ შეუცვლია.

მაქვს მოლოდინი, რომ სექტემბრიდან „ქართული ოცნება“ იმავე სტილში გააგრძელებს საქმიანობას, როგორც აქამდე. შეიძლება, გარკვეულწილად, შერბილდეს დასავლეთის კრიტიკა... უფრო დიდი მოლოდინი და სურვილი მაქვს, რომ ოპოზიციაში არა რადიკალიზაცია და მიტინგები, არამედ, თვისობრივი გადაჯგუფებები, სტრუქტურული ჩამოყალიბება მოხდეს. ვგულისხმობ, პარტიებს და რა თქმა უნდა, ნაციონალურ მოძრაობასაც, რადგან იქ პროცესი შენელებულია. პროცესი რომ დასრულებული არაა, ამაში ვგულისხმობ მელიასა და დღევანდელ მმართველობით რგოლს შორის უთანხმოებას. მათ შორის, ეს პროცესი უნდა დასრულდეს.

ვფიქრობ, შემოდგომაზე უნდა მოხდეს ოპოზიციის ჩამოყალიბება, რაშიც ვგულისხმობ პოლიტიკური ძალების გამსხვილებას და, ზოგადად, საპროგრამო მონახაზების წარდგენას – პრობლემების გადაჭრის გზებზე საუბარს. გარდა იმ თემისა, რომ ხელისუფლება პრორუსულია და ისინი არიან პროდასავლელები, ამ ლოზუნგების გარდა, დიდი სიამოვნებით გავიგებდი, რეალურად, რა მიაჩნია პრობლემად ოპოზიციას, რომელსაც ხელისუფლება არ ასრულებს და რის გაკეთებას აპირებს თავად – მათი თვალთახედვა როგორია, რა უნდა შესთავაზონ ამომრჩეველს.

აუცილებელია მოსახლეობაში გასვლა და ფეხდაფეხ შემოვლა მთელი საქართველოს მასშტაბით, რადგან ერთია, რომ რაღაც პროგრამა გაქვს და მეორეა, ამომრჩეველი დაარწმუნო, რომ მართლა ხარ ამის გამკეთებელი. ნდობა არის ძალიან დაბალი პოლიტიკური სპექტრისა და განსაკუთრებით, ოპოზიციისადმი. „ქართული ოცნება“ შეეცდება, რომ არსებული ვითარება შეინარჩუნოს და ოპოზიცია უნდა შეეცადოს, მოახდინოს გარღვევა ამ მიმართულებით. თუ ამას მოახერხებს, ძალიან კარგი იქნება.

– თქვენგანაც და სხვა ანალიტიკოსებისგანაც არაერთხელ გვსმენია, რომ ოპოზიციამ პოპულისტური თემების გარდა, საგნობრივი, თვისობრივი პროგრამა – კონკრეტულ საკითხებზე საკუთარი პოლიტიკური ხედვა უნდა გააცნოს ამომრჩეველს. თქვენი აზრით, რატომ არ იქცევა ასე – არაკვალიფიციურობის გამო?

– ერთი მაცდური რამაა ოპოზიციისთვის – ამომრჩეველთა 80% მიიჩნევს, რომ პროდასავლური კურსი უნდა გვქონდეს. ამას იღებენ ფუნდამენტად და მიიჩნევენ, რომ თუ ამ ადამიანებს მიიმხრობენ, მეტი რაღა საჭიროა... დანარჩენი არაკვალიფიციურობის შედეგიცაა...

იცით, რა? ასე მარტივიც არაა... ყველაფერ ამის გააზრება და ერთ ნიშნულზე დასმა საკმაოდ შრომატევადი საქმეა. პრობლემები რომ ჩამოთვალონ, რა უშლის საქართველოს განვითარებას ხელს, ამ პრობლემების მოგვარებას გააზრებული გეგმა სჭირდება, რაც ითხოვს რთულ მუშაობას.

ამასთანავე, გულზე რომ ხელი დაიდოს კაცმა და თქვას, ოპოზიციაში ადამიანის უფლებებზე ლაპარაკის მორალური უფლება ვის აქვს?.. როცა პროგრამაზე ვსაუბრობთ, ამ თემას ხომ გვერდს ვერ აუვლი? ნაციონალურ მოძრაობას აქვს უფლება, ილაპარაკოს სასამართლოს პრობლემებზე? მიხეილ სააკაშვილი 1995 წლიდან ამ რეფორმას აკეთებს... ამიტომ, თემები შეიძლება ამოვარდეს, მაგრამ ამას უნდა სწორი გააზრება.

მოსახლეობასთან უნდა მიხვიდე... როგორი გულუბრყვილო, პოლიტიკაში ნაკლებად ჩახედულიც უნდა იყოს მოსახლეობა, მშვენივრად ხვდება, ვინ რისი გამკეთებელია, ვის აქვს ამაზე ლაპარაკის უფლება და ვის – არა. კი, შეიძლება მოგისმინონ, არაფერი თქვან, მაგრამ ხმას არ მოგცემენ. შესაბამისად, ოპოზიციას უჭირს ისეთი თემების წამოწევა, რომელიც მას მორალურ პრობლემას არ შეუქმნის. ამიტომაც ითრევენ ფეხს და ეს პრორუსულობა და პროდასავლურობა ყველაზე კარგი თემაა მათთვის.

30 წელია, ამ გზით მივდივართ – ხელისუფლებას ვინც არ მოსწონდა, ყველას აცხადებდა აგენტად და ამ დღეშიც ამიტომ ვართ.

– არის მოსალოდნელი, რომ თუ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს ვერ მივიღებთ, იმ რაოდენობის ხალხი გამოვიდეს ქუჩაში, რამდენიც მარტის აქციების დროს? რამდენად უნდა იყოს მზაობა მსგავსი ვითარებისთვის?

– ძალიან მეეჭვება... თუ სტატუსი არ მოგვცეს, რა თქმა უნდა, პროტესტი იქნება, მაგრამ პერმანენტული, ხანგრძლივი და დიდი ტალღა არ იქნება, რატომღაც ასე მგონია. ოპოზიციაც თუ შეეცდება, რომ ეს თემა დიდი საპროტესტო განწყობის შესაქმნელად გამოიყენოს და პერმანენტული აცქიები დააანონსოს, ეს იქნება ოპოზიციის მარცხი. პროტესტი იქნება, მაგრამ არა ისეთი მძაფრი, რადგან ხელისუფლებამ მოახერხა – ოპოზიცია ცდილობს, შექმნას არასტაბილური ვითარება და ჩაგვითრიოს ომში და ა.შ.

მარტის აქციების დროს, იმ კანონთან მიმართებაში სხვა ვითარება იყო. მაშინ, იმ წუთში უნდა ყოფილიყო პროტესტი, რადგან საკითხი წყდებოდა. ამ შემთხვევაში, ყველას მშვენივრად ესმის, რომ აქაური პროტესტით ამ სტატუსს არ მოგვანიჭებენ. ამიტომ ისევ წავა მოლოდინი, რომ აუცილებელია ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით.

რა ქონებას ფლობს ქეთევან დუმბაძე

მაკა რუხაძე

მწერალთა სახლის ახალი ხელმძღვანელი ქონებრივი დეკლარაცია

4 სექტემბრიდან, საქართველოს მწერალთა სახლს ქეთი დუმბაძე უხელმძღვანელებს. გადაწყვეტილება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა მიიღო. დღემდე, მწერალთა სახლს ნატა ლომოური ხელმძღვანელობდა, რომელსაც აგვისტოს დასაწყისში, სამინისტროდან აცნობეს, რომ მისი საქმიანობის ვადა ამოიწურა. თეა წულუკიანის გადაწყვეტილებას, მწერალთა სახლის ხელმძღვანელად ქეთევან დუმბაძის დანიშვნის შესახებ, მწერლებისა და გამომცემლების პროტესტი მოყვა. ასამდე მწერალმა, მთარგმნელმა, გამომცემელმა და ლიტერატურის სფეროში დასაქმებულმა ადამიანმა გაავრცელა განცხადება, რომლითაც დაუმორჩილებლობას უცხადებენ კულტურის სამინისტროს პოლიტიკას.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი ისაა, რომ 2023 წლის მარტის დასაწყისში, როგორც პარლამენტის დეპუტატმა, ქეთევან დუმბაძემ მხარი დაუჭირა ეგრეთ წოდებულ რუსულ კანონს, უცხოეთის გავლენის აგენტების შესახებ. თავდაპირველად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მან კენჭისყრისგან თავი შეიკავა, თუმცა მოგვიანებით დაადასტურა, რომ კანონპროექტს მხარი დაუჭირა და ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს.

მოკლედ, „ვერსია“ გასული კვირის პოლიტიკურად აქტუალური და განხილვადი დეპუტატის, ქეთევან დუმბაძის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ. თუმცა, ვიდრე მის დეკლარაციას გაგაცნობთ, თვალი მის ბიოგრაფიასაც გადავავლოთ.

ბიოგრაფია

ქეთევან დუმბაძე დაიბადა 1961 წლის 11 იანვარს, თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი – ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1983-1993 წლებში იყო საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტის, მწერალთა კავშირის ლიტერატურული ურთიერთობისა და მხატვრული თარგმანის კოლეგიის რედაქტორი; 1983-1986 წწ – თბილისის №53-ე საშუალო სკოლის პედაგოგი; 1993-1995 წწ – საქართველოს ტელე-რადიო საინფორმაციო გადაცემა „ქვიშის საათის“ რედაქტორი; 1993-1995 წწ – სახელმწიფო კანცელარიის პრესსამსახურის სახელმწიფო მრჩეველი; 1995-1996 წწ – პრეზიდენტის პრესსამსახურის პრეს-რელიზის ჯგუფის ხელმძღვანელია; 1996-1999 წწ – ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ დირექტორია; 1996-1999 წწ – სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო მინისტრის პრესმდივანია; 1997-2011 წწ – „მზიურის“ დირექტორია; 2000-2002 წწ – ტელეკომპანია მე-9 არხის საინფორმაციო სამსახურს ხელმძღვანელობდა; 2002-2003 წწ – სტუდია აუდიენცია – „დიდების ზღაპრის“ ხელმძღვანელია; 2003-2004 წწ – სტუდია აუდიენცია – პროგრამების ხელმძღვანელი; 2004-2008 წწ – ტელეკომპანია „იმედი“, „იმედის დილას“ რედაქტორი; 2008-2010 წწ – საპატრიარქოს ტელეკომპანიის – „ერთსულოვნება“ მთავარი პროდიუსერი, გადაცემა „კვირიკეს“ ავტორი და ხელმძღვანელია; 2011-2013 წწ – ინფო 9-ს პროდიუსერია, სადაც ხელმძღვანელობდა გადაცემებს – „პრეს ზონა“, „კვირის ამბები“, „ქრონოგრაფი“, „რაკურსი“, „ყველა ტელევიზორში“, „ქვის სტუმარი“; 2011 წ – ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილეა; 2013-2015 წწ – კულტურის მინისტრის მრჩეველია; 2013 წწ – ტელეკომპანია მე-9 არხზე, საავტორო გადაცემების – „ჩემიანი“, „დილის იდილია“, „მიამბეთ თქვენზე“ პროდიუსერია; 2017 წლიდან – ნ. დუმბაძის გამომცემლობის დირექტორია; 2020 წ – საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, საარჩევნო ფორმა – პარტიული სიით.

ქეთევან დუმბაძის ქონება

სულ ბოლოს, ქონებრივი დეკლარაცია, ქეთევან დუმბაძეს 2023 წლის 23 თებერვალს შეუვსია. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ცხოვრობს მეუღლესთან – გიორგი მაჭარაშვილთან ერთად. მეუღლე 100%-იანი მფლობელია 1205 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა, რომელიც მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარეობს. დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ მიწის ეს ნაკვეთი გიორგი მაჭარაშვილისთვის 2008 წელს უჩუქებიათ. ქეთევან დუმბაძე 100%-იანი მფლობელია 153.17 კვ.მ. საცხოვრებელი სახლისა, რომელიც ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარეობს და რომელიც 2021 წელს, გაუცვლია.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, ქონებრივი დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ გიორგი მაჭარაშვილს, თიბისი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე 69 494 აშშ დოლარი, ხოლო საქართველოს ბანკის მიმდინარე ანგარიშზე – 14 049 აშშ დოლარი ერიცხება; ქეთი დოლიძეს „ქართუ ბანკში“ აქვს სახელფასო ანგარიში გახსნილი, რომელზეც დეკლარაციის შევსების მომენტში, 232 ლარი და 46 თეთრი ერიცხებოდა.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ირკვევა, რომ გიორგი მაჭარაშვილინ შპს „კარკასის“ დირექტორია, საიდანაც წინა წელს, მთლიანობაში 124 922 ლარის შემოსავალი მიუღია. გარდა ამისა, ქეთევან დუმბაძის მეუღლის საკუთრებაშია შპს „აგროინდუსტრია 99“, რომელიც 20 წელზე მეტია, უმოქმედოა; მასვე ეკუთვნის შპს „აგროინდუსტრია საქართველო“, რომელიც ათ წელზე მეტია, უმოქმედოა და სრულიად საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული შემოქმედებითი გაერთიანება შპს „მცხეთა – საქართველო“, რომელიც ათ წელზე მეტია, უმოქმედოა.

2022 წელს, ქეთევან დუმბაძეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაუმარჯვია. მისი პროექტი საზღვარგარეთ მოქმედ ქართულ საკვირაო სკოლებთან შეხვედრებს ითვალისწინებდა და ამ საქმიანობაში, შემოსავლის სახით, 2 240 ლარი მიუღია. გარდა ამისა, ქეთევან დუმბაძე იყო პროექტ „ზურიკელას სკოლას“ ავტორი და ხელმძღვანელი. ეს პროექტი საზღვარგარეთ მოქმედ საკვირაო სკოლებთან ონლაინ-შეხვედრებს ითვალისწინებდა, საიდანაც შემოსავლის სახით, 2 890 ლარი მიუღია. ქონებრივი დეკლარაციიდან იმასაც ვიგებთ, რომ 2022 წელს, ქეთევან დუმბაძეს, ტექსტის რედაქტირებაში, ანაზღაურების სახით, 479 ლარი მიუღია, ხოლო მისი, როგორც პარლამენტის წევრის შემოსავალი 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით – 49 344 ლარი ყოფილა.

რას მოიცავს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია

მაკა რუხაძე

საქართველოს მთავრობამ ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია უკვე დაამტკიცა. დოკუმენტი, რომელიც მთავრობის სხდომაზე 14 აგვისტოს განიხილეს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებელი, 2023-2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია და მისი 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაა. სტრატეგია მოიცავს გრძელვადიან ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს საქართველოს, როგორც რეგიონულ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიმდინარე წლის 1 ივლისს, საქართველოს პარლამენტში წლიური ანგარიშით წარდგენისას, ირაკლი ღარიბაშვილი სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარებასაც შეეხო. მეტიც, პრემიერის ანგარიშში ერთი თავი, სწორედ ამ თემას ეძღვნება. ვნახოთ, რას მოიცავს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია და როგორაა ეს საკითხი განხილული პრემიერის ყოველწლიურ ანგარიშში.

ტრანსპორტი და ლოგისტიკა პრემიერის ყოველწლიურ ანგარიშში

ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია

14 აგვისტოს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე დამტკიცებულ დოკუმენტში, რომელიც ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგიაა, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლოგისტიკური სექტორის გაძლიერებასა და ლოგისტიკური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო ტრანსპორტის, სამოქალაქო ავიაციის სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას და საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ამავდროულად, სტრატეგია მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნების, საჭიროებების შესაბამისი ადამიანური კაპიტალის განვითარებას ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორში.

რაც მთავარია, სატვირთო გადაზიდვების ხელშეწყობასთან ერთად, პრიორიტეტული საკითხია სამგზავრო გადაყვანების განვითარება. დოკუმენტის განხილვისას, მთავრობის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სატრანსპორტო ქსელის გაუმჯობესება, სატრანსპორტო მომსახურებისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება, უაღრესად მნიშვნელოვანია მობილობის საჭიროებების დაკმაყოფილებისა, თუ საქართველოს ტურისტული პოტენციალის გასაძლიერებლად.

სტრატეგია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მოამზადა. ამასთან, გაიმართა საჯარო კონსულტაციების რამდენიმე რაუნდი, რომელთა საფუძველზეც მიღებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი გათვალისწინებულია დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში.

მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა საქართველოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის დარგის განვითარების უწყებათაშორისი კომისია, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სტრატეგიით და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას. იმავდროულად, უზრუნველჰყოფს ტრანსპორტის სფეროში არსებულ გამოწვევებზე ეფექტიან რეაგირებას.

საკითხის განხილვისას ისიც აღნიშნეს, რომ გლობალიზაცია და ევროკავშირთან მზარდი ეკონომიკური კავშირები საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში სრულად ინტეგრაციის უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის. ამდენად, ამ პროცესში ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორმა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. აქვე აღინიშნა, რომ ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის სატრანსპორტო სისტემაში საქართველოს ინტეგრაციას, რაც გულისხმობს ევროპული სტანდარტების დანერგვასა და სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებას.

ტრანსპორტი და ლოგისტიკა პრემიერის ანგარიშში

როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წლის 1 ივლისს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საკანონმდებლო ორგანოში, ყოველწლიური ანგარიშით წარსდგა. ეკონომიკის, ჯანდაცვის, სოციალური, თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ანგარიშში ერთი თავი ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროს განვითარებას ეძღვნება. თვალი გადავავლოთ პრემიერის ანგარიშს და ვნახოთ, რა წერია დოკუმენტში.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველო წარმატებით უბრუნდება პანდემიამდე არსებულ საჰაერო მიმოსვლის მზარდ დინამიკას. 2022 წლის დაჯამებული მონაცემებით, სახეზე იყო ფრენების აღდგენის 88%-იანი, ხოლო მგზავრთნაკადის აღდგენის – 85%-იანი მაჩვენებლები. მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში, შესრულებული ფრენების მიხედვით, ავიარეისები აღდგენილია 116%-ით, ხოლო მგზავრთნაკადი – 103%-ით. მთავრობისა და შესაბამისი უწყებების აქტიური ძალისხმევით, 2022 წელს, საქართველოს მიმართულებით, რეგულარული ოპერირება დაიწყეს ავიაკომპანიებმა: „კონდორი“, „ფლაივან არმენი“, „ვარეშ ეარლაინზი“, „ფლაიედილი“, „არმენია ეარვეისი“, „პარს ეარი“, „საუთვინდ ეარლაინზი“, „ეარ მოლდოვა“, „ტაი ეარ აზია იქსი“ და „ფლაიარნა“. 2023 წელს, საქართველოს ბაზარზე შემოვა „სანექსპრესი“. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის აგვისტოდან, დაბალბიუჯეტიანმა კომპანია „ვიზ ეარმა“ მოახდინა მეორე ხომალდის ბაზირება, ხოლო 2023 წლის ივნისიდან და დეკემბრიდან, დაანონსდა ავიაკომპანიის მესამე და მეოთხე ხომალდების ბაზირებები.

„აღსანიშნავია, რომ საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებში, კვირაში, საშუალოდ, 350 რეგულარული რეისი სრულდება. ზაფხულის სანავიგაციო სეზონის განმავლობაში, ფრენები შესრულდება 40-ზე მეტი ავიაკომპანიის მიერ, 30-ზე მეტ ქვეყანაში, კვირაში, დაახლოებით, 555 სიხშირით, რაც დადებით გავლენას იქონიებს მგზავრთა გადაადგილებასა და ტურიზმის ეტაპობრივ აღდგენაზე ქვეყანაში. 2022 წლის აგვისტოში, განხორციელდა „ვიზ ეარის“ მასშტაბური პროექტი „Let's Get Lost Wizz“, რომლის ფარგლებშიც, ერთი ჩარტერით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, პირველად ჩამოფრიდა 200-მდე ბლოგერი და ინფლუენსერი“, – ვკითხულობთ პრემიერის ანგარიშში.

2022 წელს, განხოცილდა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის რეაბილიტაცია, მთლიანად შეიცვალა საფარი, რის შედეგადაც გახანგრძლივდა არსებული ასაფრენი ზოლის ექსპლუატაციის პერიოდი და, შესაბამისად, დაიგეგმება ახლის მშენებლობა. ამასთან, 2023 წლის აპრილში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დამონტაჟდა მოქმედი რეგულაციების შესაბამისი საავიაციო უშიშროების უზრუნველმყოფი ბარგის შემოწმების თანამედროვე ტექნიკური დანადგარები. ფრენების უსაფრთხოებისა და მგზავრთა ინტერესებიდან გამომდინარე, თანმიმდევრულად გრძელდება საავიაციო უსაფრთხოებასთან, საავიაციო უშიშროებასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან, საჰაერო მოძრაობის მართვასა და სამოქალაქო ავიაციის სხვა მიმართულებებთან დაკავშირებული ევროკავშირის რეგულაციების დანერგვა.

„ფრენის უსაფრთხოების სტანდარტებისა და საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში ჩართული სპეციალისტების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების

დასასრული მე-8 გვერდზე

რას მოიცავს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია

მე-7 გვერდიდან

მიზნით, 2022 წელს, ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად, დაინერგა საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტების სერტიფიცირებისა და საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების ევროპული სტანდარტები. საავიაციო ტექნიკის საფრენად ვარგისობის მართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების მიზნით, ასევე დამტკიცდა საავიაციო ტექნიკის საფრენად ვარგისობის მართვის საწარმოს სერტიფიცირების წესი. ამასთან, გრძელდება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებისა და რეკომენდებული პრაქტიკის დანერგვა საქართველოს საავიაციო სფეროში".

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, 2022 წლის 4 ივლისს, დამტკიცდა საგზაო უსაფრთხოების 2022-2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა (2022-2023). ასევე, აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან, ხორციელდება ევროკავშირის „ტვინინგის" პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ერთიანი მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბებისა და საგზაო უსაფრთხოების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობას. გარდა ამისა, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში, მიმდინარეობს მუშაობა რეგიონალური მნიშვნელობის საგზაო უსაფრთხოების ობსერვატორიის შექმნაზე, რაც საგზაო უსაფრთხოების კუთხით, ქვეყნის ანალიტიკურ შესაძლებლობებს გააუმჯობესებს. მიმდინარეობს მუშაობა საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.

„გრძელდება მუშაობა საქართველოს ნავსადგურებში „ერთი ფანჯრის" პრინციპის დანერგვაზე. ელექტრონული სისტემის შესამუშავებლად, 2023 წელს აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გაიმარჯვა გერმანულმა საკონსულტაციო კომპანიამ – Hamburg Port Consulting – HPC. ამასთან, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მხარდაჭერით, საზღვაო ერთი ფანჯრის იმპლემენტაციისათვის მომზადდა საკანონმდებლო ბაზა. სამომავლო პერსპექტივაში SAFESEANET სისტემის დახმარებით შესაძლებელია, საქართველოს საზღვაო ერთი ფანჯრის სისტემა ინტეგრირდეს ერთიან ევროპულ საზღვაო ერთი ფანჯრის სისტემასთან".

ასევე, მიმდინარეობს მუშაობა ნავსადგურის გაერთიანების სისტემის (PCS) დანერგვის მიმართულებით. საიმპლემენტაციო თანხის 50% მობილიზებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ, დარჩენილი თანხის მოსაპოვებლად, EBRD აწარმოებს მოლაპარაკებებს პოტენციურ დონორებთან. პროექტის სრული ღირებულება 1 600 000 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ევროკავშირის მიერ გამოცხადებულია საერთაშორისო ტენდერი პროექტისთვის საკანონმდებლო ჩარჩოს შესამუშავებლად. მეზღვაურთა დასაქმების ხელშესაწყობად, 2022 წელს, ურთიერთგაგების მემორანდუმები გაფორმდა ნიდერლანდების სამეფოსა და კატარის სახელმწიფოსთან.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მეზღვაურთა სერთიფიკატების აღიარების მემორანდუმების გაფორმებაზე მუშაობა გრძელდება შემდეგ ქვეყნებთან: შვედეთი, ნორვეგია და ჩინეთი. ჯამში, ქართველი მეზღვაურების კომპეტენციის დამადასტურებელ სერტიფიკატებს აღიარებს 73 მოწინავე საზღვაო სახელმწიფო, მათ შორის, 20 ევროკავშირის წევრია, აღნიშნული ქვეყნების დროშის ქვეშ ცურავს მსოფლიო სავაჭრო ფლოტის 85%. შექმნილია სპეციალური პორტალი, სადაც რეგისტრირდებიან მეზღვაურები და დამსაქმებლები და შესაძლებლობა აქვთ, შუამავალი რგოლის გარეშე, პირდაპირი კომუნიკაცია დაამყარონ ერთმანეთთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 18 000 მოქმედი მეზღვაურია.

„მთავრობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მეზღვაურთა განათლების სისტემის გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა. 2022 წელს, ბათუმის საზღვაო აკადემიის სამანქანე განყოფილებაში, დამატებით სამი საინჟინრო ლაბორატორია მოეწყო. ამასთან, 2022 წლის სექტემბრიდან, ფოთის სასწავლებელმა უმაღლესი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე – „ტრანსპორტის ეკონომიკა და საფინანსო საქმე" და „დაზღვევა ტრანსპორტზე" დაიწყო სტუდენტების მიღება. სასწავლებელი გათვლილია 1 000 სტუდენტზე და ემსახურება ქვეყნის ლოგისტიკურ ინტერესებს. MLC კონვენციასთან მიერთების საკითხი და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი ინიციირებულ იქნა საქართველოს პარლამენტში 2022 წლის ბოლოს. დღეის მდგომარეობით, წარდგენილი პაკეტი საქართველოს პარლამენტის მიერ განხილულია მესამე მოსმენით. „საზღვაო შრომის შესახებ" 2006 წლის საერთაშორისო კონვენცია (MLC 2006) მსოფლიოს 1 500 000-ზე მეტ მეზღვაურს უზრუნველჰყოფს ფართო უფლებებითა და სამუშაო ადგილზე დაცვის გარანტიებით. უმნიშვნელოვანესია კონვენციით გათვალისწინებული დებულებების ასახვა საქართველოს კანონმდებლობაში. აღნიშნული ხელს შეუწყობს მეზღვაურების სოციალური და შრომითი უფლებების დაცვასა და საქართველოს სახელმწიფო დროშის ავტორიტეტის გაზრდას საერთაშორისო საზღვაო სანაოსნო ინდუსტრიაში. საზღვაო ტრანსპორტის სფეროში გრძელდება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რომელთა დიდი ნაწილი შესრულებულია, შესასრულებელია მხოლოდ სამი. აქვე აღსანიშნავია, რომ დასამტკიცებლად მომზადდა საზღვაო ტრანსპორტის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია, რომლის საფუძველზე შემუშავდება შემდგომი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა".

2023 წლის თებერვლიდან, დაიწყო სარკინიგზო ტრანსპორტის დარგის რეფორმის პირველი ფაზის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, პირველ ეტაპზე, მოხდება სარკინიგზო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს ჩამოყალიბება, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირთან დაახლოება სარკინიგზო უსაფრთხოების, სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირებისა და მატარებლების მემანქანეთა სერტიფიცირების კუთხით. შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში და მიმდინარეობს განხილვები.

როგორც პრემიერმა განაცხადა, „საქართველოს სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს დაახლოების მხარდაჭერა ევროკავშირის კანონმდებლობასთან სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში" – პროექტის ფარგლებში, გრძელდება მუშაობა შემდეგ დირექტივებთან: 2012/34/Eუ (რომლის მეშვეობითაც ჩამოყალიბდა ერთიანი ევროპული სარკინიგზო ზონა), 2004/49/Eუ (გაერთიანების რკინიგზების უსაფრთხოების შესახებ), 2008/57/EC (გაერთიანების ფარგლებში სარკინიგზო სისტემის ურთიერთთავსებადობის შესახებ) დაახლოების მიზნით. პრემიერმა აღნიშნა, რომ სამივე დირექტივის შესაბამისად, მომზადდა საქართველოს სარკინიგზო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტები და კანონქვემდებარე აქტების პროექტები.

სამართალი

№30 16 აგვისტო 2023 წ

ბათო ჯაფარიძე

ვინ არის კაცი, რომელიც სამოთხის ბილეთებს ჰყიდდა

რატომ სცემა ძმამ დას სასიკვდილოდ – სისხლის სამართლის უცნაური საქმის დეტალები

90-იან წლებში, ყველაფერთან ერთად, სექტებიც მომრავლდნენ. იმის მიუხედავად, თითქოს, სწორედ 90-იანი წლებიდან დაიწყო მოსახლეობის შემობრუნება ეკლესიისკენ, ამავე პერიოდს უკავშირდება, მაგალითად, იეჰოვას მოწმეების გააქტიურება და სხვადასხვა მიმდინარეობების ჩამოყალიბება. სექტანტები საკუთარ რიგებში ეპატიჟებოდნენ ყველას და ცდილობდნენ, სამოთხეში ადგილები გაეყიდათ. ჰო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ისინი ცდილობდნენ, სამოთხეში ადგილების გაყიდვას და ეს საქმე ურიგოდ არ გამოსდიოდათ.

სამართალდამცავებს ერთ-ერთმა დაზარალებულმა მიმართა, რომელსაც ქმარი მოკვლას უპირებდა.

„ერთ დღეს, ქმარი სახლში უცნაურ განწყობაზე მოვიდა. მანამდე სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა, რადგან გაყიდა მანქანა, გაყიდა სახლი და ყველაფერი სექტაში მიჰქონდა. როგორც ამბობდა, ის საკუთარი თავისთვის, ჩემთვის და ჩვენი ბიჭისთვის სამოთხეში ადგილებს ყიდულობდა და მზად იყო, ამისთვის ყველაფერი დაეთმო. ის ამბობდა, რომ უკვე ყველაფერი მოაგვარა, დრო იყო, სამოთხისთვის გამზადებულიყვნენ და დანით გამოგვეკიდა. სამზარეულოში შევიკეტეთ და საშველად მეზობლებს ვუხმეთ. მითხრეს, მილიციამ წაიყვანაო, მაგრამ ვფიქრობ, ფსიქიატრებმა უნდა წაიყვანონ“, – ამბობდა ქალი.

სამართალდამცავებმა იცოდნენ, რომ მართლაც, არსებობდა რაღაც სექტა, თუმცა ყურადღებას არ აქცევდნენ, აქაოდა, 20-30 კაცი დადისო, მაგრამ რომ მოიძიეს, აღმოჩნდა, რომ იქ ვინც დადიოდა, პრაქტიკულად, ყველა გაუბედურდა. ყველა ჰყიდდა ძვირფას ნივთებს, მანქანებს, რათა სამთხეში შეეძინათ ადგილი და მომავალი უზრუნველეყოთ. ერთი შეხედვით, ყველაფერი ეს, ძალიან სასაცილოდ ჩანდა, მაგრამ განყოფილებაში მეორე განცხადებაც შევიდა – ქალი ჩიოდა, ჩემი 20 წლის გოგონა სექტანტებმა იმის გამო სცემეს, რომ იქიდან წამოსვლა და ფულის გადახდა არ სურდაო. გოგონა კომაში იყო და ეს უკვე მეტისმეტი გახლდათ. სანამ სექტის ლიდერს დააკავებდნენ, ერთ-ერთ თავყრილობაზე წასვლა გამომძიებელმა გადაწყვიტა, რომელიც შეხვედრას სექტაში გაერთიანების მსურველის სახით დაესწრო. სხდომის ბოლოს ქუდი ჩამოატარეს, გამომძიებელი გაოგნებული სახით უყურებდა, როგორ ცლიდნენ დამსწრეები ქუდში საფულეებს და როგორი ბედნიერი სახეები ჰქონდათ. ერთ-ერთმა ქალმა დაიმორცხვა, დღეს საფულე სახლში დამრჩაო, წინამძღოლმა, რომელსაც წვერი ჰქონდა მოშვებული და შინდისფერი ანაფორა ემოსა, მის ყელზე ოქროს ყელსაბამი შენიშნა და უთხრა, ეს ოქროს ყელსაბამი კი არა, სატანის მარყუჟია, ახლავე გათავისუფლდიო, ქალმაც მოიხსნა ოქროს ნივთი და ყუთში სიხარულით ჩაუძახა. როცა ჯერი გამომძიებელზე მიდგა, მან ფულის ნაცვლად, ქუდში „ქსივა“ ჩააგდო. უცნაური ნივთი პირადად წინამძღოლმა აიღო, დახედა და ირონიული ღიმილით თქვა – „არაფერი გამოგივათ, ბატონო მილიციელო, ეს ხალხი სამოთხისთვის იბრძვის და თქვენ გზაზე ვერ გადაეღობებით“. რა თქმა უნდა, ის დააკავეს.

„თუ ვაღიარებთ, რომ არსებობს სამოთხე, იქ მოხვედრის სურვილისთვის ადამიანი არ უნდა დავსაჯოთ. დიახ, მე ვყიდი იქ მოსახვედრ ბილეთებს და ვეუბნები, როგორ უნდა იცხოვრონ, რომ იქ მოხვდნენ. მე ყველაფერი ფული მიჯდება, დარბაზის ქირაობა, ის ბიჭები, წესრიგს რომ ამყარებენ და კიდევ ათასი რამ, თანაც მე არავის ვძარცვავ და ვაყაჩაღებ, ყველას საკუთარი ნებით მოაქვს თანხა და მე ვართმევ. ამიტომ, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს ვერ ვხედავ ჩემს ქმედებაში და თქვენ თუ ხედავთ, ოფიციალური ბრალდება წარმიდგინეთ, შესაბამისი მუხლით“, -განაცხადა დაკავებულმა და... ის მართალი იყო.

როცა წინამძღოლს უთხრეს, რომ მისი ერთ-ერთი მოწაფე ცოლ-შვილის დახოცვას აპირებდა, მან მხრები აიჩეჩა, ადამიანს თუ ფსიქიკური პრობლემები აქვს, მე რა შუაში ვარ, არ მთქვამს, ცოლ-შვილი დახოცეო. ნაცემ გოგოზე კი... ჩემთან იმდენი ადამიანი მოდის და მიდის, ყველა რომ ვცემოთ, ძალიან შორს წავალთ, არც ის ვიცი, ეგ გოგო ვინ გაიმეტაო. არადა, გოგონა ისე იყო ნაცემი, რეანიმაციის განყოფილებაში უგონოდ იწვა.

„იტყუება. მე ზუსტად ვიცი, რომ მაგ სექტის წარმომადგენლებმა სცემეს. ამას წინათ, იმ სექტიდან ერთი ბიჭი იყო მოსული და ჩემი გოგო ეუბნებოდა, ყოველ კვირა 100 დოლარს გადაგიხდი (მაშინ 100 დოლარი ძალიან, ძალიან დიდი თანხა იყო), ოღონდ შემეშვიო. იმ ბიჭის სახე კარგად მახსოვს, სექტაში ნანახი მყავს და თუ მიმიყვანთ, თქვენც განახებთ“, – ამბობდა გოგონას დედა და მართლაც, მან სამართალდამცავებს ის ბიჭი დაანახა. ძალოვნებმა ახალგაზრდა დააკავეს.

„რა თქმა უნდა, არავინ მიცემია. ჩვენ ჩვენი გუნდისთვის შემოწირულობას ვაგროვებდით, დიდ ხანს ვაგროვებდით და ბოლოს, სოლიდური თანხა გამოვიდა. ამ თანხიდან მან 500 დოლარი აიღო და როცა მივხვდი, კინაღამ გადავირიე. წინამძღოლმა იცოდა, რამდენი გროვდებოდა ყოველდღიურად, ანგარიშს ვაბარებდით და 500 დოლარით ნაკლებს რომ მივუტანდით, მე გამომაგდებდა, გოგოს წასვლა კი ისედაც უნდოდა. ამიტომ, სახლიდან, მანქანისთვის ნაგროვები ფული მივიტანე, გოგოს კი სახლში დავადექი და მოვთხოვე, მოპარული დაებრუნებინა. ისიც შემპირდა, კვირაში ას დოლარს მოგცემო და საიდან უნდა მოეცა, არ ვიცი, თუმცა ერთხელ მომცა, მერე კი ის მოხდა, რაც ისედაც იცით“, – თქვა ბიჭმა და რეალურად, მას გოგონას ცემა ხელს არ აძლევდა.

ამ ვერსიის გაგებამ დედა გადარია, რა ყოველ კვირა 100 დოლარი, თავი ძლივს გამაქვს, გოგონას და 16 წლის ბიჭს ძლივს ვარჩენო. მას არც იმაზე ჰქონდა წარმოდგენა, სად შეიძლებოდა მის შვილს ეშოვა ის 100 დოლარი, რომელიც ბიჭს მისცა. ერთადერთ იმედად ის რჩებოდა, რომ გოგონა მდგომარეობიდან გამოსულიყო და ეგებ, თავდამსხმელის ვინაობა დაესახელებინა, მაგრამ ექიმები თავს აქნევდნენ, ამის იმედი უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ნუ გექნებათ და თუ აზრზე მოვიდა, ვერც იმის გარანტიას მოგცემთ, რომ ბევრ რამეს გაიხსენებსო. სასწავლებელში, სადაც დაზარალებული სწავლობდა, რამდენიმე სტუდენტმა თქვა, ბოლო დროს, ერთი ასაკოვანი კაცი დაჰყვებოდა უკან, ჩვენც გვიან შევნიშნეთ, მაგრამ თავად ამბობდა, არაფერს მიშავებს, არ ვიცი, ვინ არის და რომ დამყვება, ვხედავო. სტუდენტებმა ფოტორობოტი შეადგინეს და სამართალდამცავებმა დედას აჩვენეს. ქალმა კივილი დაიწყო, ჩემი ქმარია, პირველი ქმარი, ციხეში იჯდა, არ მეგონა, თუ გამოვიდა, ჩემი მეორე ქმარი მაგან მოკლა და სწორედ ამისთვის ჩასვესო. ძალოვნებმა მალე გაარკვიეს, რომ მამაკაცი ციხიდან ორი თვის გამოსული იყო, არც მისი პოვნა გასჭირვებიათ – იმ საავადმყოფოს ეზოში დააკავეს, სადაც გოგონა იწვა.

„დავიწყოთ იმით, რომ მე საკუთარ შვილს ასე არ გავიმეტებდი. არც ჩემი ცოლის საყვარელი მომიკლავს. ჰო, ქმარი კი არა, საყვარელი. ჩემი უფროსი შვილი 5 წლის იყო, როცა გავიგე, რომ ცოლი მღალატობდა. ერთხელ, სამსახურიდან მოულოდნელად დავბრუნდი და საყვარელთან წავასწარი. ვიჩხუბეთ და კიბეებზე დავაგორე. სწორედ კიბის კუთხეს ჩამოარტყა თავი და ადგილზე მოკვდა. მას ბევრი მფარველი ჰყავდა და ამიტომ, არც აფექტი გაითვალისწინეს, არც ის, რომ წინასწარი განზრახვა არ მქონია და 15 წელი მომისაჯეს. ციხეში ვიყავი, ცოლმა მეორე ბავშვი რომ გააჩინა, თუმცა შემომითვალა, შენი არ არის, ჩემი ნამდვილი სიყვარულის ნაყოფიაო. ციხიდან გამოვედი, სრულად მოვიხადე, სამსახური ვიშოვე და შვილი მოვძებნე. უკან იმიტომ დავყვებოდი, რომ მინდოდა, თავად მოსულიყო, ეკითხა, ვინ ვარ, მე მისვლას ვერ ვბედავდი. იმ საბედისწერო ღამეს, სამსახურიდან ვერ გამოვედი, თორემ სახლამდე მივაცილებდი“, – განაცხადა კაცმა და მისი ალიბი დადასტურდა – იმ ღამეს, როცა გოგონა სცემეს, მართლაც სამსახურში იმყოფებოდა და ამას 20-მდე ადამიანი ამოწმებდა. სამაგიეროდ, მამაკაცმა ისიც თქვა, რომ მისი შვილი რაღაც უცნაურ შენობაში დადიოდა და იქ დიდხანს რჩებოდა.

როგორც გაირკვა, ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ბორდელი იყო ვიპ-კლიენტებისთვის და გოგონა იქ ოფიციანტად მუშაობდა. ახლა ნათელი გახდა, საიდან ჰქონდა მას კვირაში 100 დოლარის გადახდის იმედი. ბორდელი კი მიახურეს, მაგრამ ვინ და რატომ გაიმეტა გოგო სასიკვდილოდ, მაინც ვერ გაიგეს. საქმეს ნათელი სრულიად შემთხვევით მოეფინა – სამართალდამცავებმა ნარკომანი დააკავეს და მან თავისუფლება მოითხოვა, სანაცვლოდ კი, იმ საქმის გახსნას დაჰპირდა, რომელზეც მილიცია თავს ამაოდ იმტვრევდა.

„ის გოგო საკუთარმა ძმამ სცემა. ცოტა ხნის წინ, წამალზე შეჯდა, დას ატერორებდა, ნარკოტიკების ფულს მას სთხოვდა. ბოლოს უთხრა, მკურნალობა მინდაო და 500 დოლარი გამოართვა, ვითომ ამდენი ჯდებოდა რეაბილიტაცია. იმ ფულითაც წამალი ვიყიდეთ, მერე კი, როცა გაგვითავდა, ისევ დას მიაკითხა. იმან კატეგორიული უარი უთხრა. იმ საღამოს „ლომკა“ გვეწყებოდა, ფულის შანსი კი ნული იყო. ძმამ თქვა, ჩემს დას საფულეში აუცილებლად ექნება რამეო, იცოდა, სადაც მუშაობდა. ამიტომ, დახვდა და უთხრა, საქმე მაქვსო, მოფარებულში შეიყვანა და იქ გაუსწორდა. ამბობდა, მგონი მოვკალიო, მაგრამ მერე გავიგეთ, რომ გადარჩა“, – თქვა დაკავებულმა.

სამართალდამცავებმა ძმა მალე დააკავეს და მანაც დანაშაული აღიარა. სასამართლომ ბიჭს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, სექტა კი... სექტა ძალოვნებმა ვერ დაშალეს, რადგან სისხლის სამართლის კოდექსში არ იყო მუხლი, რომელსაც სექტის წინამძღოლს მიუყენებდნენ.

„ჩემი მისია შევასრულე, შური ვიძიე“

საზარელი კრიმინალი, რომელმაც ერთი ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა

ბათო ჯაფარიძე

ექინოკოკი – ცხოველური თასმისებური ჭიების კლასი. სქესმწიფე ექინოკოკის სიგრძე 2-8 მილიმეტრია, თავზე ორი წყება, კაუჭებით შეიარაღებული ხორთუმი აქვს. სხეული შედგება 3-4 პროგლოტიდისგან. ლარვას ბუშტის ფორმა აქვს და ამოვსებულია შუამავალი მასპინძლის სისხლისგან გამოყოფილი სითხით. კვერცხი სხვადასხვა გზით ხვდება ჯერ პირში, შემდეგ – კუჭში, სადაც თავისუფლდება ე.წ. გარსისგან. კვერცხისგან გამოსული ჩანასახი გადადის ნაწლავში, აქედან სისხლში, ან ლიმფურ სისტემაში და სისხლის ნაკადით ამა თუ იმ ორგანოში აღწევს. ექინოკოკის კვერცხი ადამიანში, ძირითადად, ძაღლისგან ხვდება. ხორცის მჭამელი შინაური ცხოველების ჰელმინთოზები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ, რადგან შეიძლება, ადამიანი დაასნებოვნონ. მსოფლიოში რეგისტრირებული 82 დაავადებიდან, ადამიანში პარაზიტობს 32 და საფრთხეს სიცოცხლესაც კი უქმნის. იმის გამო, რომ ექინოკოკი ძალიან ნელა იზრდება, შესაძლოა, ის დასნევობნებიდან ათი წლის შემდეგ გამოვლინდეს – ასეა აღწერილი ერთ-ერთი

საშიში დაავადება სამედიცინო ენაზე. ამიტომაც, აუცილებელია შინაური ცხოველების აცრა და სწორედ ამ მიზეზითაა გარეული ცხოველის ნაკბენი თუ ნაკაწრი საშიში, რადგან არავინ იცის, რომელი დაავადების მატარებელია ესა თუ ის ცხოველი.

შემთხვევა, რომელზეც ახლა გიამბობთ, ჩვენს მეზობელ სომხეთში მოხდა. იქიდან გამომდინარე, რომ 15 სხვადასხვა რესპუბლიკა ერთ დიდ, საბჭოთა კავშირში იყო გაერთიანებული, შემთხვევა, რომელიც იმ დროისთვის უპრეცედენტოდ ითვლებოდა, მაშინვე გახდა მსჯელობის საგანი და ლამის სახელმძღვანელოებში შეიტანეს, თუმცა შემდეგ გადაიფიქრეს, რადგან სახელმძღვანელოში მისი შეტანა, შესაძლოა, სხვა დამნაშავეებისთვის ბიძგი და ახალი დანაშაული ჩადენის მოტივი ყოფილიყო. რომ არა შემთხვევა, საქმეს ვერასდროს გამოიძიებდნენ, მაგრამ მაშინ მოქალაქეებს ჰქონდათ ის, რაც ახლა ძალიან გვაკლია და ამას სამოქალაქო შეგნება ჰქვია.

ერთ-ერთ სკოლაში, საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რის შემდეგაც მოსწავლეებს ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. სახლში მისული მოსწავლეებიდან, სამი ცუდად გახდა და იმდენად ცუდად, რომ საავადმყოფოში გახდნენ წასაყვანნი. ექიმებმა ექინოკოკის დიაგნოზი დასვეს და იქვე დააყოლეს, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ბავშვები ვერ გადავარჩინოთო. ეს ნამდვილი კატასტროფა იყო – სამი ბავშვის გარდაცვალება არა მარტო რესპუბლიკის, არამედ, საკავშირო მასშტაბის ტრაგედია გახლდათ. ამიტომ, საქმეში მაშინვე ჩაერთო ძალოვანი უწყება და მკაცრად დაიკითხა ყველა მასწავლებელი. ბავშვები უგონოდ იყვნენ და მათი დაკითხვა ვერ მოხერხდა, თუმცა მასწავლებლებმაც და დანარჩენმა მოსწავლეებმაც დაადასტურეს, რომ კონკრეტული საწარმოს მიერ დამზადებული შოკოლადი ჭამეს. შოკოლადი უახლოეს მაღაზიაში იყო შეძენილი და იქიდან ყველა პარტია ამოიღეს – ნახევარკილოიან შეკვრებად დაფასოებული ნუგბარი ექსპერტიზაზე გააქანეს და ექსპერტებმაც დასკვნა დადეს – ექინოკოკი ყველა შეკვრაში არსებულ შოკოლადში აღმოჩნდა, ოღონდ ყველა შემთხვევაში, მხოლოდ ერთ ცალში, დანარჩენები სუფთა იყო. რა ძნელი მისახვედრია, რომ შოკოლადების საწარმოში შემოწმება შევიდა და პარალელურ რეჟიმში დააკავეს საწარმოს დირექტორი და მთავარი ტექნოლოგი. დირექტორმა პირი დააღო, ჩემი ინტერესი რატომ უნდა იყოს მოწამლული შოკოლადის გაყიდვაო, მაგრამ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის (სანეპიდსადგური) თანამშრომლებმა შემოწმების შედეგად, ტერიტორიაზე სამი-ოთხი მაწანწალა ძაღლი აღმოაჩნეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ შოკოლადში ბაქტერია, შესაძლოა, მათგან მოხვედრილიყო. მით უმეტეს, რომ ძაღლებს... შოკოლადის ნარჩენებით კვებავდნენ და ოთხფეხა ცხოველებმა გადასარევად იცოდნენ ამ ნუგბარის გემო.

ტექნოლოგმა ხელები გაასავსავა – რას ამბობთ, მე ზუსტად ვიცი, რასაც ვაკეთებ და მოდით, ჩემი სახლი შეამოწმეთ, სწორედ ეს შოკოლადი მაქვს შინ და რაც მთავარია, საწარმოდან კი არ ვიპარავ, ვყიდულობო. ძალოვნები მის სახლში წავიდნენ, შოკოლადი ამოიღეს და როგორც მაღაზიაში ნაყიდი ტკბილეულის შემთხვევაში, აქაც აღმოჩნდა, რომ შეკვრაში მხოლოდ ერთი იყო ექინოკოკით დასნებოვნებული. დირექტორმა ივარაუდა, ამას კონკურენტი ქარხნის დირექტორი გააკეთებდა, ჩემი პროდუქცია ძველია, ხალხმა გემო იცის, ახალი საწარმო გაიხსნა, ვერაფრით აეწყვნენ, ჩემი ტექნოლოგის გადაბირება სურდათ, ის არ წავიდა და ეგებ, ამ გზით მებრძვისო. ზოგადად, მაშინ საწარმოებს პროდუქციის გასაღების მაღალი მაჩვენებელი თუ არ ჰქონდათ, დირექტორს ხსნიდნენ და ეს ვერსია ძალოვნებს არცთუ უიმედოდ ეჩვენათ, მაგრამ ახალი ქარხნის ხელმძღვანელი რომ დაჰკითხეს, ეჭვები გაეფანტათ.

„ასე გეტყვით – მე კონკურენტი არ მყავს. ჩვენი პროდუქცია 14 რესპუბლიკაში უნდა გავიდეს და ეს ახალი საწარმოც ამიტომ გაიხსნა. 14-ვე რესპუბლიკასთან ხელშეკრულებები გვაქვს გაფორმებული, საკავშირო მასშტაბის პროექტია, მილიონებზეა საუბარი, ადგილობრივ ბაზარზე, ძალიანაც რომ მეხვეწონ, ჩემს პროდუქციას ვერ გავყიდი, რადგან სხვა ვალდებულებები მაქვს“, – განაცხადა დირექტორმა და ხელშეკრულებებით ისიც დამტკიცდა, რომ მას უახლოესი სამი წლის განმავლობაში, ადგილობრივი ბაზრისთვის არ ეცალა და შესაბამისად, კონკურენცია არ აშინებდა.

ექინოკოკით დაავადების შემთხვევები კი გახშირდა – ვიღაცამ ძეხვი ჭამა და ცუდად გახდა, ვიღაცამ – ყველი შეიძინა, ვიღაცამ – სოსისი. თავშიც ვთქვით, რომ ექინოკოკი რთული დაავადებაა, შეიძლება, თავი ათი წლის შემდეგ იჩინოს, მაგრამ საკვებ პროდუქტში სპეციალურად დამუშავებული სითხე აღმოჩნდა, ისეთი, რომელიც მოქმედებას მაშინვე იწყებდა და ამის შექმნას მხოლოდ გამოცდილი ბაქტერიოლოგი თუ მოახერხებდა, თანაც ის ბაქტერიოლოგი ქიმიაშიც უნდა ყოფილიყო გათვითცნობიერებული. სამართალდამცავებს ერთი რამეც ენიშნათ – პროდუქტები, რომლებმაც ხალხი მოწამლა, ორ მაღაზიაში იყო ნაყიდი და ის ორი მაღაზია ერთმანეთთან, დაახლოებით, კილომეტრით გახლდათ დაშორებული. გამოდიოდა, რომ ვიღაც კონკრეტულად ამ ორ მაღაზიას აწვდიდა დაავადებულ პროდუქტს, მაგრამ ვინ და რატომ? პირველ ჯერზე, მოწამლული ბავშვებიდან, ერთი გარდაიცვალა და დანარჩენების მდგომარეობაც, პრაქტიკულად, უიმედო იყო. ქვეყნის მასშტაბით, ბაქტერიოლოგების შემოწმება და მოძიება დაიწყო. პროფესია ისეთია, ბევრი არ უნდა ყოფილიყვნენ და საბოლოოდ, ორი გამოიკვეთა – ერთი სწორედ იმ უბანში ცხოვრობდა, სადაც მოწამლული პროდუქტები იყიდებოდა, მეორე – ქალაქის ბოლოში.

თვალთვალი სწორედ მასზე დაიწყეს, ვინც იმ უბანში ცხოვრობდა, თუმცა ერთკვირიანმა დევნამ ვერაფერი დაადგინა, თანაც იმ პერიოდში, არავინ მოწამლულა ანუ დამნაშავეს რაღაც არ მოეწონა, ან მიხვდა, რომ უთვალთვალებდნენ. ძალოვნები ლამის დარწმუნდნენ, რომ სწორ კვალზე იდგნენ, თუმცა ის ოპერმუშაკები, რომლებსაც ეჭვმიტანილის თვალთვალი ევალათ, კინაღამ სამსახურიდან გააგდეს, აქაოდა, ობიექტმა შეგამჩნიათ და დანაშაულს აღარ სჩადისო.

სწორედ ამ პერიოდში, მილიციის განყოფილებაში ქალი გამოცხადდა, რომელმაც თქვა, რომ მაღაზიაში პურის საყიდლად იყო შესული, როცა დაინახა, როგორ აიღო ვიღაც კაცმა კანფეტების შეკვრა, როგორ ამოიღო ჯიბიდან შპრიცი და ერთ-ერთ კანფეტში ნემსით რაღაც სითხე შეუშვა. ქალს ყვირილის შეეშინდა, ეგონა, რომ ის კაცი ნემსს მასაც შეარჭობდა, ამიტომ მხოლოდ სახე დაიმახსოვრა და მილიციაში მივიდა. სამართალდამცავებმა მას წინ იმ უბანში მცხოვრები ბაქტერიოლოგის ფოტო დაუდეს, მაგრამ ქალმა დაბეჯითებით თქვა, ეს არ იყოო. გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს და ახლა მეორე ბაქტერიოლოგის ფოტო დაუდეს, ქალს ლამის გული წაუვიდა, სწორედ ეს კაცი გახლდათო. ექსპერტებმა ივარაუდეს, რაც უნდა კარგად შენიღბული იყოს და უფრთხილდებოდეს შპრიცს, გამორიცხულია, ექინოკოკის ბაქტერიის კვალი ჯიბეზე ან ხელზე არ ვიპოვოთ, ამიტომ დააკავეთო და მართლაც, ის სადარბაზოს შესასვლელთან დააპატიმრეს. ექსპერტების სერიოზული ჩართულობა საჭირო აღარც იყო, მას ნახევრად ცარიელი შპრიცი ჯიბეში ედო და გადაგდება არც უცდია. პირველადი დასკვნით, ეს სწორედ ის სითხე იყო, რომელიც დაზარალებულების ორგანიზმში აღმოჩნდა და რომელიც ნელ და მტანჯველ სიკვდილს იწვევდა.

„ჩემი მისია შევასრულე, შური ვიძიე. ორი წლის წინ, ამ უბანში შვილი მომიკლეს. დაჭრილი ეგდო, ასზე მეტმა ადამიანმა გაუარა გვერდით და ყურადღება არავინ მიაქცია, სანაგვეებთან ეგდო და ლოთიაო, ასე იფიქრეს. არადა, ერთი, ერთადერთი ადამიანი მაინც რომ დახრილიყო, გადარჩებოდა. ერთი წელი ამაოდ ვიარე მილიციაში, ვერც მკვლელი იპოვეს, არც არავინ დასაჯეს. ჰოდა, ამ უბნის დასჯა მე გადავწყვიტე. გაიგონ, როგორია შვილის სიკვდილით გამოწვეული სიმწარე. ახლა, თუნდაც დამხვრიტონ, არ ვჩივი. დარწმუნებული ვარ, მოწამლულებში ვინმე ისეთის შვილი იქნება, ან თავად ისეთი, ვინც იმ დღეს ჩემს შვილს გაუარა და ყურადღება არ მიაქცია. ვითომ კატის კნუტი, ან ძაღლის ლეკვი ეგდო ქუჩაში, ერთი საათი ცოტა ხომ არ არის. მერე უბნის რწმუნებულმა დაინახა, მივიდა, ხელი მოჰკიდა. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, სასწრაფო გამოიძახა, პირადად ვესაუბრე ექიმებს და მათ მთხრეს, 10-15 წუთით ადრე რომ მოეყვანათ, გადარჩებოდაო. არ იყვნენ დასასჯელები? იყვნენ და არ ვნანობ“, – განაცხადა დაკავებულმა.

სასამართლო სხდომა დახურეს და დაკავებულს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. დახვრეტდნენ, მაგრამ დახვრეტით გასამართლებული ადამიანების საქმეს ამერიკელები აქცევდნენ ყურადღებას და არ სურდათ, საბჭოეთიდან ასეთი შემზარავი ამბავი გაეტანათ, თანაც ეს ხომ გზა იყო ადამიანების გასანადგურებლად, რომელიც შეიძლებოდა, ცივი ომის პირობებში, მტერს გამოეყენებინა და ამიტომ, 15-წლიანი სასჯელი აკმარეს.

ბათო ჯაფარიძე

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ საქართველოში სისხლის საჭირო მარაგი, ძირითადად, ევროპიდან შემოდის და მთავარი მომწოდებელი შვეიცარიაა. არა, ისინი სისხლს არ გვჩუქნიან, ვყიდულობთ და ამაში ყოველწლიურად, კონკრეტული კლინიკები თუ სისხლის ბანკები მილიონობით დოლარს იხდიან. იმასაც გეტყვით, რომ ყველა შვეიცარიელი თავს ვალებულად თვლის, წელიწადში, მინიმუმ, ერთხელ, სისხლი სრულიად უანგაროდ ჩააბაროს და ამას იმდენად ტრადიციული ხასიათი აქვს, რომ შვეიცარია ჭარბ სისხლს მხოლოდ საქართველოში არ ჰყიდის. სისხლის პრობლემა ძალიან ბევრ ქვეყანას აქვს, საქართველო არ არის ამ მხრივ გამონაკლისი და არც მხოლოდ საქართველოში უხდიან გარკვეულ თანხას მათ, რომლებიც ნებაყოფლობით აბარებენ საკუთარ სისხლს. ეს პრობლემა მუდმივად იყო და სავარაუდოდ, იქამდე იქნება, სანამ ადამიანების უდიდესი ნაწილი არ მივა იმ დასკვნამდე, რომ ფულის სანაცვლოდ თუ უფასოდ, წელიწადში ორჯერ სისხლის ჩაბარება შეუძლია. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ იმავე შვეიცარიაში ძალიან იშვიათად ხდება, ნასვამი ადამიანი საჭეს მიუჯდეს, სიჩქარეს გადააჭარბოს, მოძრაობის წესები დაარღვიოს, რაც ავტოსაგზაო შემთხვევების დაბალ ნიშნულს უზრუნველჰყოფს. შვეიცარიაში არ ტირიან ყოველ წელს, ავარიებში დაღუპულ 500 ადამიანს და რამდენიმე ათას დაშავებულ-დასახიჩრებულს, რომელთაც სწორედ რომ სისხლის გადასხმა სჭირდებათ.

სისხლისმწოველი ექიმი

ვინ და რატომ გაიტაცა სკოლის მოსწავლე ბიჭები და როგორ გაიხსნა ორი საზარელი დანაშაული

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი პატარა, მაგრამ ლამაზი ქალაქის მცხოვრებლებმა სამართალდამცაცებს მიმართეს, ჩვენი შვილები შინ გაბრუებულები ბრუნდებიან, ხელზე ნანემსარი ეტყობათ და როცა ექიმთან მიგვყავს, ის გვეუბნება, რომ ბავშვს სისხლი აუღეს. ერთი შეხედვით, ეს სახიფათო პროცედურა არ არის, 2-3 დღეში, ბავშვები მარაგს ივსებენ და ჩვეულებრივ აგრძელებენ ცხოვრებას, მაგრამ არ გვსურს, ჩვენს შვილებს ვიღაც სისხლს აცლიდეს დაუკითხავადო. საინტერესო ის იყო, რომ ბავშვები ვერაფერს იხსენებდნენ, ისინი ამბობდნენ, რომ შინ ბრუნდებოდნენ, სადარბაზოში უკნიდან ვიღაც ეპარებოდათ, სახეზე რაღაც ნაჭერს აფარებდა, შემდეგ ბავშვებს ისევ სადარბაზოში არსებულ სარდაფში ჩასასვლელ კიბეზე ეღვიძებოდათ და შინ მიდიოდნენ. მხოლოდ სახის მკრთალი ფერით ხვდებოდნენ მშობლები, რომ რაღაც მოხდა, თორემ სისხლის აღების პროცედურა პროფესიონალურ დონეზე იყო ჩატარებული და აბსოლუტურად ყველა ბავშვს მხოლოდ ერთი ნანემსარი ჰქონდა. მათი სისხლის ანალიზის მიხედვით, ორგანიზმში არაფერი შეუყვანიათ, ცხვირზე აფარებულ ნაჭერზე კი, სავარაუდოდ, დასაძინებელი სითხე ესხა, რომელიც ბავშვებს რამდენიმე წამში თიშავდა.

პატარა ქალაქში კი არა, დიდ ქალაქებში ვრცელდება ხმა სწრაფად და ამიტომ, პრაქტიკულად, ყველამ იცოდა, რომ ქალაქში ვიღაც სისხლისმწოველი გამოჩნდა, რომელიც ბავშვებს იტაცებდა და სისხლს პარავდა. საბედნიეროდ, არცერთი ბავშვი არ იყო დაზარალებული ანუ სიცოცხლის საფრთხე არცერთ მათგანს არ ემუქრებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დამნაშავემ საკუთარი საქმე ძალიან კარგად იცოდა, ზუსტად იმდენ სისხლს იღებდა, რამდენიც ბავშვს არაფერს ავნებდა და ბედის ირონიით, ეს პროცედურა ბავშვების ჯანმრთელობისთვის სასარგებლოც კი იყო. განგაშის ზარებს მაშინ შემოჰკრეს, როცა ორი ბავშვი გაქრა – მერვეკლასელი ბიჭები, რომლებიც მუდმივად ერთად იყვნენ, სკოლაშიც ერთად მიდიოდნენ, იქიდანაც ერთად ბრუნდებოდნენ, გაკვეთილებსაც ერთად ამზადებდნენ და შემდეგ ერთად თამაშობდნენ. მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, რაღა თქმა უნდა, მათი დაკარგვა იმ ადამიანს დაუკავშირეს, რომელიც ბავშვებს სისხლს აცლიდა და მოზარდების ასაკის გათვალისწინებით, საქმეში უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებიც ჩაერთვნენ. დაკითხეს ბიჭების ყველა მეგობარი და ერთმა გოგონამ თქვა, რომ ისინი აუცილებლად კორპუსის სახურავზე იქნებოდნენ, რადგან იქ ე.წ. შტაბი ჰქონდათ მოწყობილი და მთელ თავისუფალ დროს იქ ატარებდნენ. სამართალდამცავები სახურავზე ავიდნენ, მაგრამ დამტვრეული დურბინდის გარდა, ვერაფერი ნახეს. იქ იყო საბავშვო ნივთები, მაგრამ ბავშვების კვალი არსად ჩანდა. იმ სადარბაზოებთან, სადაც ბავშვებს სისხლს აცლიდნენ, ოპერმუშაკები დააყენეს, პრაქტიკულად, ყველა და ყველაფერი კონტროლდებოდა, უშიშროების თანამშრომლებმა აგენტურული ქსელი აამუშავეს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ბიჭების მეგობარმა გოგომ კიდევ ერთი ძაფის ბოლო მისცა ხელში გამომძიებლებს – ორივე „საიდუმლოდ“ ამბობდა, ძალიან მალე, დიდ ფულს ვიშოვით და სამოგზაუროდ წავალთო. საიდან უნდა ეშოვათ მერვეკალსელებს დიდი ფული, წარმოდგენა არავის ჰქონდა. ორივე ბავშვი საშუალო ფენის ოჯახის შვილი იყო, მშობლები საწარმოებში მუშაობდნენ და ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი შემოსავალი ჰქონდათ. სახურავზე ნანახი დურბინდი ყოველი შემთხვევისთვის, ექსპერტიზას გადასცეს, ექსპერტის დასკვნით, ის ფეხით იყო დამტვრეული და ფეხსაცმლის ანაბეჭდის ფრაგმენტის მიხედვით, ზომა 42-43 უნდა ყოფილიყო ანუ ბავშვებს ნივთი ვიღაცამ დაუმტვრია.

„ხომ შეიძლება, ბავშვებს დურბინდით დაენახათ რამე დანაშაული და მის ჩამდენებს აშანტაჟებდნენ და დიდი ფულის მიღებაც ამ გზით სურდათ, დამნაშავეებმა კი, ფულის გადახდას, ბავშვების გატაცება ამჯობინეს და ყველაფერი ეს, კავშირში არ არის იმ დანაშაულთან, რომელიც მანამდე ხდებოდა ანუ სისხლის გამოცლასთან. ამიტომ, ოპერატიულმა ჯგუფმა, დაკარგული ბავშვების ე.წ. „შტაბიდან“ უნდა დაათვალიერონ მიდამო და შემდეგ დაადგინონ, მოხდა თუ არა უახლოეს კორპუსებში რამე ისეთ, რამაც შეიძლება, ბავშვების ყურადღება მიიპყრო“, – გადაწყდა თათბირზე და კორპუსის სახურავიდან დურბინდით გარემოს შესწავლა ერთბაშად რამდენიმე ოპერმუშაკმა დაიწყო. შედეგიც მალე დადგა – მოპირდაპირე კორპუსში, ბავშვების გაუჩინარებამდე რამდენიმე დღით ადრე, მამაკაცი მოკლეს. ის ოჯახთან ერთად კინოთეატრში მიდიოდა, როცა ცოლს გაახსენდა, რომ უთო დარჩა ჩართული. მამაკაცი დაბრუნდა და ქურდებს თავზე წაადგა. მათ ის თავში სწორედ უთოს ჩარტყმით მოკლეს და მიიმალნენ. საქმე გაუხსნელი იყო და გაჩნდა ვარაუდი, რომ სწორედ მკვლელობის მომენტი დაინახეს ბავშვებმა, ქურდებიც იცნეს (ქურდობის დროს, ნიღაბს არავინ იკეთებს), მათი შანტაჟი დააპირეს და სწორედ ამის გამო მოიტაცეს. გაიხსნებოდა მკვლელობა – იპოვნიდნენ ბავშვებს და პირიქით. ფეხზე მთელი სამართალდამცავი ორგანო დადგა. უკვე ცხადი გახდა, რომ პატარების სიცოცხლე საფრთხეში იყო და მეტიც – სასწაული უნდა მომხდარიყო, ბავშვები ცოცხლები რომ ეპოვათ.

იმავე ღამით, გვიან, მილიციის განყოფილებაში მეთევზე მივიდა და ორი დაკარგული ბავშვი მიიყვანა.

„აქვე, ჩვენს ტბაზე ვიყავი სათევზაოდ, ღამით სუსტი ყვირილი გავიგონე, მეგონა, მომეჩვენა, მაგრამ დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში, ყვირილი ისმოდა. იქვე ახლოს ძველი, მიტოვებული ქოხია, მისკენ წავედი და ეს ორი ბავშვი ვნახე, წყალი დავალევინე, ცოტა ვაჭამე, ძლივს ავხსენი, დაბმულები იყვნენ და აქ მოვიყვანე“, – თქვა მეთევზემ.

ბავშვები სასწრაფო წესით დაკითხეს და მათ გამტაცებელთა ვინაობა დაასახელეს, ისიც თქვეს, რომ მკვლელობა ნამდვილად დაინახეს, მკვლელები იცნეს და მათ სიჩუმის სანაცვლოდ, ორი ათასი მანეთი მოსთხოვეს. ფულის გადაცემის დროს კი ისინი გაიტაცეს და დააბეს. მას შემდეგ, გამტაცებლები აღარ გამოჩენილან. ძალოვნებმა ორივე მარტივად, საკუთარ სახლში დააკავეს.

„ჩვენ არ ვართ მკვლელები, ის კაციც შემთხვევით შემოგვაკვდა. ზუსტად ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან, ბავშვებს წამოსცდებოდათ რამე და ამიტომ, მათი მოშორება გადავწყვიტეთ, მაგრამ ვერცერთმა ვერ მოვკალით და მიყრუებულ ადგილზე დავაბით, შიმშილით რომ მომკვდარიყვნენ“, – თქვეს დაკავებულებმა.

სამართალდამცავები სიხარულით დახტოდნენ, ორი უმძიმესი საქმე ერთ დღეში გახსნეს, მაგრამ ბავშვებიდან აღებული სისხლის ამბავი ისევ ბურუსით იყო მოცული, თუმცა ამ საქმეშიც პატარები დაეხმარნენ. სახურავის ბინადრებმა თქვეს, რომ იმ სადარბაზოდან, სადაც ბავშვებს სისხლს უღებდნენ, ორჯერ გამოვიდა ადგილობრივი ექიმი და ორივეჯერ სწრაფად მიიმალა. ვარაუდობდნენ, რომ ბავშვებს სისხლს სწორედ ის უღებდა, მაგრამ ამ თემაზე ბევრს არ ფიქრობდნენ, ჯერ „დიდი ფული“ უნდა ეშოვნათ. გამომძიებლებმა ექიმზე თვალთვალი დააწესეს და მესამე დღეს, მაშინ ჩაავლეს, როცა მორიგ მსხვერპლს, სარდაფში მაჯას უშიშვლებდა და სისხლის აღებას აპირებდა. მას გაქცევა არ უცდია.

„ერთი პაციენტი მყავს, სიმსივნით არის დაავადებული და არაფერი ეშველება. არ ვიცი, ვინ ურჩია, მაგრამ უთხრეს, რომ თუ პატარა ბავშვების სისხლს გადაისხამდა, განიკურნებოდა. უზარმაზარ თანხებს იხდიდა და რა მექნა, ცდუნებას ვერ გავუძელი. თანაც, ამით არავინ დაშავებულა, პირიქით, ეს ჯანმრთელობისთვის კარგია. ყველა ბავშვის ანკეტა ხელმისაწვდომი იყო და მხოლოდ მეორე ჯგუფის სისხლის ბავშვებს დავდევდი, დანარჩენი არ მაინტერესებდა“, – თქვა ექიმმა და სამართალდამცავები მხოლოდ ახლა მიხვდნენ, რომ ეს მნიშვნელოვანი დეტალი გამორჩათ. მათ აზრადაც არ მოსვლიათ, გადაემოწმებინათ, რომელი ჯგუფის სისხლზე იყო ნადირობა გამოცხადებული.

პოლიციამ ლიბერთი ბანკის ძარცვის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი დ.ც. ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 8 აგვისტოს, ბრალდებული ლიბერთი ბანკის ერთ-ერთ ფილიალში შეიჭრა, სადაც უკანონოდ დაეუფლა ფულს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირი, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

სამართალდამცველებმა თანხის ნაწილი, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეოთხე ნაწილით მიმდინარეობს.

საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკეს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა შალვა ბედოიძემ, მინისტრის მოადგილეებმა – გიორგი ბუთხუზმა და ალექსანდრე დარახველიძემ, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, სამშობლოს სამსახურისთვის თავგანწირულ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

სამინისტროს ეზოში, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული პოლიციელების მემორიალი ყვავილებით შეამკეს და 2008 წლის ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტების ხელმძღვანელებმაც.

2008 წლის ომის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს – 14 და სანაპირო დაცვის – 5 თანამშრომელი დაიღუპა.

თეთრიწყაროში, ტაქსის მძღოლის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულებს 20 და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ

თეთრიწყაროში, ტაქსის მძღოლის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულებს 20 და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, საქმეზე მესამე, ძებნილი ბრალდებულის მიმართ, რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვა გრძელდება.

„რუსთავის საქალაქო სასამართლომ, სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ორი პირი დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2023 წლის 20 მაისს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდაში, სამმა ბრალდებულმა, მათ შორის, ერთმა არასრულწლოვანმა ავტომანქანის დაუფლების მიზნით, ტაქსის მძღოლი მოკლეს.

ბრალდებულებმა კვალის დაფარვის მიზნით, ცხედარი ავტომანქანის საბარგულში მოათავსეს და მიმდებარე ტერიტორიაზე, ორმოში დამარხეს, რის შემდეგაც მოკლულის ავტომობილს დაეუფლნენ და მისი ნაწილებად დაშლა დაიწყეს.

სამართალდამცველებმა ორი პირი, მათ შორის, ერთი არასრულწლოვანი 22 მაისს დააკავეს, ხოლო მესამე პირის მიმართ დაუსწრებლად იქნა გამოტანილი დადგენილება ბრალდების შესახებ. სამივე პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა ჩადენილი ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით და ანგარებით) წარედგინათ.

სასამართლომ ორი პირი დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში, რომელთაგან ერთს 20 (ოცი) წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მეორეს – არასრულწლოვან ბრალდებულს – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმი 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მესამე ძებნილი ბრალდებულის მიმართ, რუსთავის საქალაქო სასამართლოში გრძელდება საქმის განხილვა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ივლისში, უკანონო ტყითსარგებლობის 177 ფაქტი გამოავლინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ივლისში, უკანონო ტყითსარგებლობის 177 ფაქტი გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2023 წლის 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით, უკანონო ტყითსარგებლობის 177 ფაქტი გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას სამინისტრო ავრცელებს.

უწყების განმარტებით, გამოვლენილი ფაქტებიდან 117 – ხე-ტყის უკანონო მოპოვება-ტრანსპორტირებას ეხება, 60 – სახერხი საამქროების მიერ, ტექნიკური რეგლამენტის დარღვევისა და უკანონო სახერხი საამქროების ფაქტებია. სამართალდარღვევებიდან 12 ფაქტი – სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

„უკანონო ტყითსარგებლობის ყველაზე მეტი – 41 ფაქტი გამოვლენილია კახეთში; 31 ფაქტი დაფიქსირდა აჭარაში, შიდა ქართლში – 30, სამცხე-ჯავახეთში – 29, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 22, იმერეთში – 10, გურიაში – 8, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში – 3, მცხეთა-მთიანეთში – 2, ქვემო ქართლში – 1. ჯამში, ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 239 კუბურ მეტრზე მეტი მოცულობის ხე-ტყე.

ამავე პერიოდში, დაფიქსირდა სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის 55 ფაქტი. ასევე, ქვეყნის მასშტაბით, ამოღებულია 5 ერთეული არარეგისტრირებული სახერხი საამქრო. მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

გორის „დილა“ 10 ათასით დააჯარიმეს

ცოტა შორიდან დავიწყოთ – ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ბერძნულ „აეკ“-სა და ხორვატიული ზაგრების „დინამოს“ მატჩამდე, ამ კლუბის გულშემატკივრები ერთმანეთს დაერივნენ, რაც საბოლოოდ, ერთი ბერძენი ფანის მკვლელობითა და ხორვატიული კლუბის 82 გულშემატკივრის დაკავებით დასრულდა. „დინამოს“ ყველასთვის კარგად ცნობილი გულშემატკივრების დაჯგუფება ჰყავს – Bad Blue Boys ანუ BBB. ჰოდა, ამ დაჯგუფების ლიდერები აცხადებენ, ჩვენ ცივ იარაღს არასოდეს ვიყენებთ, ვინც მკვლელობისთვის არის დაკავებული, ჩვენი დაჯგუფების წევრი არაა და ეგებ, საბერძნეთის პოლიციამ ჩვენი 82 მეგობარი გამოუშვასო...

ევროთასებს მხოლოდ ერთი ქართული კლუბი, გორის „დილა“ შემორჩა. შიდა ქართლელებმა პირველი შეხვედრა კვიპროსულ „აპოელთან“ უკვე გამართეს – „დინამო არენაზე“ (გორის სტადიონი მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს) ითამაშეს და 0:2 დამარცხდნენ. გორელმა გულშემატკივრებმა, მატჩის მსვლელობის დროს, ტრიბუნებზე სამი ბანერი გადმოფინეს: პირველი ბანერი 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილთა ხსოვნას ეძღვნებოდა, მეორე – შოვში, ტრაგიკულად დაღუპული ადამიანების ხსოვნას, მესამეს კი – Free BBB ეწერა ანუ თავისუფლება ზაგრების „დინამოს“ ფანებს. შეხვედრის რუმინელმა დელეგატმა კლუბის ხელმძღვანელობას უთხრა, რომ ბოლო ბანერი ფაშისტურ ნიშნებს შეიცავდა და გულშემატკივარს უნდა მოეხსნა, თუმცა გაფრთხილება არად ჩააგდეს და ეს მხოლოდ მეორე გაფრთხილების შემდეგ გააკეთეს. ამის მიუხედავად, დელეგატმა ბანერის არსებობა ოქმში მაინც დააფიქსირა და „დილა“ 10 ათასი ევროთი დაჯარიმდა. საპასუხო მატჩი ერთ კვირაში გაიმართება, თუმცა ძალიან საეჭვოა, გორელებმა შინ წაგებული 0:2 კვიპროსზე შემოაბრუნონ და ამით ქართული კლუბებისთვის ევროსეზონი ოფიციალურად დასრულდება.

საქართველო-ესპანეთის ბილეთები გაიყიდა

8 სექტემბერს, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, საქართველო ესპანეთს უმასპინძლებს. შეხვედრა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება და რაღა თქმა უნდა, მატჩის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია. საქართველოს სამ შეხვედრაში 4 ქულა აქვს და ჯგუფში მეორე ადგილზეა. ორ მატჩში მოპოვებული 3 ქულით, ესპანეთი მეოთხეა, ხოლო ჯგუფის ლიდერი -ოთხიდან ოთხივე მოგებით, შოტლანდია გახლავთ. შესაბამისად, საქართველო-ესპანეთის შეხვედრას უდიდესი დატვირთვა აქვს, თუ ჩვენი ბიჭები მოიგებენ, პირენეელებს ჯგუფში ჩარჩენის სერიოზული საფრთხე ემუქრებათ.

ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ბილეთების გაყიდვა 15 აგვისტოდან დაიწყება, მაგრამ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ბილეთები უკვე გაიყიდა, რადგან საიტმა, სადაც გაყიდვა უნდა განხორციელდეს, შეცდომთ 8 აგვისტოს დაიწყო გაყიდვებზე მუშაობა და გამოტანილი ბილეთები 10 წუთში გაქრა. შესაბამისად, 15 აგვისტოს გამოსატანად გამზადებული ბილეთებს გულშემატკივარი აუცილებლად დაიტაცებს. მათი ფასი 10, 20, 30 და 50 ლარია, ხოლო ერთი მომხმარებელი 4 ბილეთზე მეტს ვერ შეიძენს.

ქართველ მსაჯებს უფროსად თურქი დაუნიშნეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილებას ვეტერანი თურქი არბიტრი, ჯუნეტ ჩექირი უხელმძღვანელებს. ამის შესახებ განცხადება ფეხბურთის ფედერაციამაც გააკეთა და ქართველ ჟურნალისტებს ჩექირიც შეხვდა, აქაოდა, მოლაპარაკებებმა ძალიან გამახარა და ქართულ ფეხბურთში ჩემი მოსვლა ახალი გამოწვევაა, რომელიც სიამოვნებით მივიღეო.

ჩექირი უახლოეს წარსულში აშკარად გამოცდილი მსაჯი გახლდათ. მას 2012 წელს, ევროპის ჩემპიონატზე, ესპანეთი-პორტუგალიის ნახევარფინალი აქვს ნამსაჯი, იმავე წელს, ფიფა-ს საკლუბო ჩემპიონატის ფინალი (კორინთიანსი-ჩელსი) იმსაჯა, 2014 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში უსტვინა, 2015 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ბარსელონა-იუვენტუსი მთავარი მსაჯი იყო და ამას გარდა, თურქეთის ჩემპიონატში ასეულობით მატჩი აქვს გამართული.

არავინ დაობს, რომ თურქი არბიტრი ძალიან გამოცდილია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ქართულ სამსაჯო სკოლაში არ მოიძებნა არავინ, ვისაც ამ საქმეს ანდობდნენ და ფედერაცია ცდილობს, ჩექირის დანიშვნით, მსაჯების კორუმპირებულობასა და არაპროფესიონალიზმზე მოარული ხმები მოსპოს.

„რეალს“ კურტუა დაემტვრა და... მამარდაშვილი გამოირიცხა

მადრიდის „რეალის“ ბანაკში კარგი ამბები არ არის. გუნდის ძირითადმა კიპერმა, ტიბო კურტუამ ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მოედანზე გასვლას, საუკეთესო შემთხვევაში, ექვსი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს. შესაბამისად, მადრიდელებმა მისი შემცვლელის ძებნა სასწრაფო წესით დაიწყეს და ესპანურმა მედიამ დაწერა, რომ კარლო ანჩელოტის სიაში ერთ-ერთი პირველი გიორგი მამარდაშვილი ეწერა, თუმცა ქართველის შესაძლო ტრანსფერი მალევე გამოირიცხა. საქმე ის გახლავთ, რომ „რეალს“ კურტუას იმედი აქვს და ისეთი მეკარე სურდა, რომელსაც ნახევარი წლის შემდეგ, სკამზე გადასვამდა, მაგრამ „ვალენსიამ“ მამარდაშვილის სანაცვლოდ, 30 მილიონი ევრო მოითხოვა, „სამეფო გუნდი“ კი სათადარიგო მეკარისთვის ასეთი თანხის გადახდას არ აპირებს. მართალია, მედალს მეორე მხარეც აქვს და შესაძლოა, გიორგის ისე ეთამაშა, კურტუას გამოჯანმრთელების შემდეგ, მისი ძირითადში დაბრუნება კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ 31 წლის ბელგიელი საოცრად თამაშობს, უმაღლეს დონეზე ასპარეზობას კიდევ სამი-ოთხი წელი შეძლებს და ახლაც კი, მისი ფასი 100 მილიონია. ასეთ მეკარეს თადარიგში არავინ დასვამს და ეგებ, სჯობს კიდეც, მადრიდელებმა მამარდაშვილზე ხელი ფასის გამო რომ აიღეს.

იმავე ესპანური მედიის მტკიცებით, „რეალი“ უახლოეს დღეებში მეკარეს „სევილიას“ წაჰგვრის და კურტუას გამოჯანმრთელებამდე, კარს იასინ ბონოს ანდობს. ბონო ცუდი მეკარე ნამდვილად არ არის, მაგრამ... ანჩელოტის „მანჩესტერიდან“ წასული დევიდ დე ხეა შესთავაზეს, რომლის დამატებაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა. არადა, დე ხეა ესპანელია, უგუნდოდაა და მისი ფასი 100 თუ არა, 50 მილიონი ნამდვილად არის, „რეალი“ კი ხელში უფასოდ ჩაიგდებდა.

ოფიციალურად – ჰარი კეინი „ბაიერნში“ 100 მილიონად წავიდა

ლონდონის „ტოტენჰემისა“ და ზოგადად, ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა, ჰარი კეინი კარიერას „ბაიერნში“ გააგრძელებს. ბოლო მომენტამდე არავის სჯეროდა, რომ მიუნხენური კლუბი 30 წლის ფორვარდში 100 მილიონს გადაიხდიდა. საქმე ის გახლავთ, რომ „ბაიერნი“ ასეთ თანხას ასაკოვან ფეხბურთელებში არ იხდის, მაგრამ ფაქტია – გარიგება შედგა და თუ „ტოტენჰემი“ 100 მილიონს მიიღებს, თავად ფეხბურთელი, რომელმაც კონტრაქტი 2027 წლის ივნისამდე გააფორმა, ყოველწლიურად, 25 მილიონს ჩაიჯიბავს.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კეინი ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ფეხბურთელია. თუნდაც გასული სეზონი ავიღოთ – „ტოტენჰემის“ მაისურით, მან 38 მატჩი ჩაატარა და 30 გოლის გატანა მოახერხა.

2025 წლის ევროპაზე უნდა ვითამაშოთ

გასულ კვირას, გერმანიაში, ევროპის 2025 წლის საკალათბურთო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა. შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებს გაუმართლა, ჩვენი გუნდი ვალდებულია, ეს ბარიერი დაძლიოს და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდეს.

ჩვენი გუნდი G ჯგუფში სერბეთთან, ფინეთთან და დანიასთან ერთად მოხვდა. იმის გათვალისწინებით, რომ ფინეთი ტურნირის ერთ-ერთი მასპინძელია, ის „ევრობასკეტზე“ ავტომატურად გადის. ჯგუფიდან ევროპის ჩემპიონატზე პირდაპირ ორი ნაკრები ხვდება და თუ სერბეთი აშკარა ფავორიტია, დანია ნამდვილად არ გახლავთ ისეთი ქვეყანა, რომელთანაც ორივე მატჩის მოგება არ შეიძლება. რეალურად, თუ 2025 წლის ევროპის ჩემპიონატზე თამაში გვსურს, დანიელებს უნდა მოვუგოთ და გასულები ვართ.

„ბარსელონამ“ დემბელე 50 მილიონად მოიშორა

მას შემდეგ, რაც 2017 წელს, უსმან დემბელე დორტმუნდის „ბორუსიადან“ „ბარსელონაში“ გადავიდა, კატალონიური კლუბის გულშემატკივრები მუდმივად ამბობდნენ, რომ ეს ტრანსფერი არ იყო გამართლებული და დემბელე, რაც შეიძლება, მალე უნდა გაეყიდათ. არადა, როგორი საქმეა, „ბარსამ“ ფრანგის სანაცვლოდ, 135 მილიონი ევრო გადაიხადა, რაც პატარა თანხა ნამდვილად არ არის, მაგრამ გაუთავებელი ტრავმების გამო, ფეხბურთელი, პრაქტიკულად, არ თამაშობდა. თავად განსაჯეთ, ექვსი სეზონის განმავლობაში, დემბელემ ყველა ტურნირზე 35 შეხვედრა ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა ანუ მისი თითო გოლი, კატალონიურ კლუბს 16.8 მილიონი ევრო დაუჯდა.

ჰოდა, როგორც იქნა, „ბარსამ“ მუდმივად ტრავმირებული ფეხბურთელი მოიშორა და ის „პარი სენ ჟერმენს“ მიჰყიდა. სანამ ტრანსფერი განხორციელდებოდა, დემბელე პარიზულმა კლუბმა თხემით ტერფამდე შეამოწმა და დასკვნა დადო, რომ ის ჯანმრთელია. მის სანაცვლოდ, კატალონიური გრანდი 50.4 მილიონ ევროს მიიღებს ანუ მხოლოდ ტრანსფერში, „ბარსა“ 85 მილიონს იზარალებს. ამას დაუმატეთ ფეხბურთელისთვის ევქსი წლის განმავლობაში გადახდილი 100 მილიონ ევროზე მეტი და მიხვდებით, როგორი ზარალი ანახა კლუბს ერთმა კონკრეტულმა მოთამაშემ.

შარლ ბოდლერის პროზაული ჩანაწერები

ბებერი ჯამბაზი

სასეირნოდ გამოსული ბრბო ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყო მოედანზე და მხიარულობდა. ეს იყო ნამდვილი საახალწლო დღესასწაული, რომლის დადგომაზეც წინასწარ ოცნებობენ ყოველი ჯურის კომედიანტები, ჯამბაზები, მხეცთა მგეშავნი და მეწვრილმანენი იმ იმედით, რომ აინაზღაურებენ მთელი წლის დანაკლისს.

ასეთ დღეებში, როგორც ჩანს, ხალხს ავიწყდება ყველაფერი – სადარდებელიც და საზრუნავიც. ყველანი ბალღებს ემსგავსებიან – ბალღთათვის ეს დღე ხომ შვების დღეა, სკოლის დავიდარაბისგან განთავისუფლებაა მთელი დღე-ღამით. მოზრდილთათვის კი, ეს ზავია ცხოვრების მტრულ ძალებთან დადებული, თავის დაღწევაა გამუდმებული დაძაბულობისა და ბრძოლისაგან.

თვით საზოგადოებაში გამოსული კაციც კი, ინტელექტუალური შრომით მცხოვრები, ჩაებმება ზოგჯერ ამ გადამდებ მხიარულების ფერხულში, ძალაუნებურად მასაც ჩაითრევს ხოლმე საყოველთაო უზრუნველობის ატმოსფერო. მეც, როგორც ჭეშმარიტ პარიზელს, არასოდეს გამიშვია შემთხვევა ქუჩის ამ სანახაობათა ჭვრეტისა, განსაკუთრებით, – უქმე დღეებში.

ირგვლივ, მართლაცდა, საშინელი კონკურენციის ატმოსფერო სუფევს: ისმის ღრიალი, ყმუილი, კივილ-წივილი. ეს ხმები სპილენძის გუგუნსა და აფეთქების ხმებს ერწყმიან, ჭრელაჭრელა ტანსაცმელში გამოწყობილი მასხარები ათასგვარად მანჭავენ შავგრემან, ქარცემულ სახეებს, წვიმისა და მზისგან გაკაჟებულნი, დიდი მსახიობის აპლომბით ისვრიან ენამახვილ კალამბურებს, მოლიერის იუმორივით მძიმესა და სოლიდურს. ჩაფსკვნილი ძალოსნები ამაყობენ თავიანთი დაბერილი კუნთებით, ორანგუტანგისებური ჩაჭყლეტილი თავ-კისრით, გოროზად დააბიჯებენ წინადღით საგანგებოდ გარეცხილ შემოჭერილ რეიტუზებში. მოცეკვავე გოგონები ფერიების დარად დაცქრიალებენ ფარნების შუქზე, მათ ბრჭყვიალა კვედაკაბებზე რომ ირეკლება.

ყველგან სინათლე, სიხარული, ყაყანი, ციებ-ცხელებაა. ერთნი ფულს იხდიან, მეორენი – იხვეჭენ, თანაბარის ხალისით. ირგვლივ დიდი გამოცოცხლებაა. ბალღები დედის კალთებს ჩასჭიდებიან, სთხოვენ შაქარყინულს, ხანაც მამებს ასხდებიან მხრებზე, რათა უკეთ დაინახონ ილუზიონისტი, მათ თვალში – ბრწყინვალე ღვთაება.

აქ ყველა სხვა არომატს ახშობს ტაფაზე აშიშხინებული ერბოს სუნი, თითქოსდა, საკმეველიაო ამ დღესასწაულისა.

გერდულების რიგის ბოლოში დავინახე საბრალო ბებერი ჯამბაზი, მოკაკული, ძალმიხდილი, თითქოს სირცხვილით გამოქცევიაო ამ დიდებულ ზეიმს. ეს იყო რაღაც ნანგრევი ადამიანისა. იგი თავისი გახუნებული კარვის ერთ-ერთ სვეტს მიყრდნობოდა, ასეთი დაძენძილი კარავი არც ერთ დაჩლუნგებულ და გაუბედურებულ ველურს არ ექნებოდა. აქ ძლივსღა ბჟუტავდა ორი, თითქმის ბოლომდე დამწვარი სანთელი.

ყველგან სიამე, სიხარული, ღრიანცელი, ხვალინდელი დღის იმედი, ცხოველმყოფელი ხალისი. აქ კი, – უიმედობა, სიდუხჭირე, თანაც სიდუხჭირე ჯამბაზის ჩვრებში მორთული. თვით გაჭირვება ჰქმნიდა მყვირალა კონტრასტს, ყოველგვარი ხელოვნების გარეშე. ეს უბედური როდი იცინოდა?! იგი არც ტიროდა, არც ცეკვავდა, არც მღეროდა, ჟესტითაც არ ითხოვდა შველას. იგი უძრავად და უტყვად იდგა, დამორჩილებული ბედს, დაეყარა ფარ-ხმალი. მისი ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ რა ღრმა, რა დაუვიწყარი მზერით ათვალიერებდა იგი ამ ბრბოს, ამ შუქურებს, რომელთა მორევი შეგუბებულიყო მისი დუხჭირი სადგომის მახლობლად!

ბოღმა მომაწვა ყელში, თვალები ცრემლით ამევსო, იმ ჯიუტი ცრემლით, რომელიც თითქოს არ ლამობსო თვალთაგან გადმოღვრას.

რა მექნა? ხომ არ მეკითხა ამ უბედურისთვის რა იშვიათობის, რა უცნაურობის ჩვენებას აპირებდა იგი, იმ აყროლებულ ფარდულებთან, პატარა სცენაზე? მართალი გითხრათ, ვიდექი და ვყოყმანობდი, მეშინოდა, გული არ ვატკინო-მეთქი. ბოლოს, გადავწყვიტე, ცოტაოდენი ფული ჩამედო იმ იმედით, რომ სწორად გამიგებდა, მაგრამ ამ დროს რაღაც ალიაქოთი ატყდა, ბრბო დამეტაკა და წამიღო სხვა მხარეს. ბებერი ჯამბაზი დავკარგე თვალთაგან. უკან ვიხედებოდი, თან გულისტკივილით ვამბობდი: რა ვნახე ახლა? – განა, ეს მოხუცებული მწერლის ხატება არ იყო, თაობა რომ შემოეცლება, რომლისთვისაც იგი ბრწყინვალე გართობის წყაროს წარმოადგენდა?! განა, ეს მოხუცი პოეტი არ იყო, რომელსაც არც მეგობრები ჰყავს, აღარც – ოჯახი, აღარც – შვილები და რომელიც გაჭირვებამ, უმადურმა საზოგადოებამ სრულ დაცემამდე მიიყვანა და რომლის ფარდულშიც ამ გულმავიწყ და ცვალებად ხალხს აღარ უნდა შესვლა?!

თრობა

თრობას მიეძალე. თრობაა ყველაფერი. ეგ არის ხსნა ერთადერთი, რათა არ შეიგრძნო ამაზრზენი ტვირთი დროისა, რომელიც დაგცემს, წელში გაგტეხს. ჰოდა, ამადაც თრობას მიეძალე, გამოუნელებელს.

ჰო, მაგრამ რითი? – ღვინით, პოეზიით, სიქველით, რითიც გენებოს, ოღონდ იყავი მთვრალი.

და თუ ოდესმე კვლავ გამოფხიზლდები სასახლის კიბეზე, მდინარისპირა პატარა მდელოზე თუ შენი ოთახის შემზარავ სიმარტოვეში, მაშინ ქარს, ტალღას, ვარსკვლავს, ჩიტს, საათს, ყოველივეს, რაც დარბის, ან დაქრის, კვნესის, ან მიედინება, ჰკითხე: რომელი საათია?

და მაშინ ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტი, საათი მოგიგებენ: თრობის საათია! თრობის და თავდავიწყების, რათა არ ვეყმოთ, არ ვემონოთ დროს, არ შევიქმნათ მისი მარტვილნი.

ამიტომ მივეძალოთ დაუსრულებელს ღვინით, პოეზიით, ან სიქველით – წადილისამებრ.

სარკე

შემოდის კაცი უკიდურესად გულისამრევი გარეგნობისა და იხედება სარკეში.

„რად იყურებით სარკეში, განა, ვერ ხედავთ, რომ უსიამოვნების მეტს ვერაფერს იგრძნობთ ამის შედეგად?“

მახინჯი კაცი მპასუხობს: „ბატონო ჩემო, 1789 წლის უკვდავი პრინციპების მიხედვით, ყველა ადამიანი თანაბარია თავის უფლებებში. ასე რომ, მეც მაქვს უფლება სარკეში ჩახედვისა. რაც შეეხება სიამოვნებას თუ უსიამოვნებას, ეს ჩემი პირადი სინდისის საქმეა“.

საღი გონების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მე ვიყავი მართალი, მაგრამ კანონის თვალსაზრისით, არც ის იყო მტყუანი.

დედაბრის ვარამი

სახედანაოჭებული დედაბერი გაიბადრა ბუდრუგუნა ბალღის დანახვაზე. ამ მშვენიერ არსებას, მასავით უსუსურს, უკბილოს და უთმოს, ყველა თავს ევლებოდა.

იგიც მიეტანა ბალღს მოსაფერებლად, მაგრამ დამფრთხალი პატარა ხელიდან გაუსხლტდა მოხუცს, შეშინებული და აწივლებული.

მაშინ საბრალო მოხუცი კვლავ მიუბრუნდა თავის მარტოობას მარადჟამულს, ატირდა კუთხეში საწყალობლად და მოსთქვამდა:

„ვაი ჩვენ, საბრალო დედაბრებს, ხანგადასულებს, თოთო ბავშვებსაც რომ აღარ მოვწონვართ და ზიზღს ვგვრით მათ, ვისი სიყვარულიც გვწადია!“

ძაღლი და ფლაკონი

– ჩემო პატარა გოშიავ, ჩემო ლამაზო, ჩემო ცუგრუმელავ, მომიახლოვდი, დაგაყნოსვინო სურნელება ამ ნელსაცხებლის, ქალაქის საუკეთესო პარფიუმერთან რომ შევიძინე.

ძაღლი კუდის ქიცინით მომიახლოვდა, რაც, ჩემი ვარაუდით, ამ საბრალო არსებაში შეესაბამება ღიმილს თუ სიცილს და ცნობისმოყვარედ მიადო სველი დრუნჩი თავღია ფლაკონს. შემდეგ, უეცრად უკანვე გახტა შეშფოთებული და თითქოს მყვედრისო, ყეფა ატეხა.

– ო, უკუღმართო ძაღლო! ნაგვის ფუთა რომ მომეცა შენთვის, სიამით დაჰყნოსავდი და შესაძლოა, შეგესანსლა კიდეც. ასე რომ, ჩემი ნაღვლიანი ცხოვრების უღირსო მეგობარო, შენ ბრბოს ჰგავხარ, რომელსაც სათუთი არომატები როდი უნდა მიართვა, რაც მას აღიზიანებს, არამედ, კარგად შერჩეული უწმინდურება.

შავი პურის ნაყინს ყიდიან

დიდ ბრიტანეთში უჩვეულო ნაყინი გაჩნდა, რომელსაც შავი პურის გემო აქვს. როგორც გამოცემა The Mirror წერს, გემოების ასეთი შერწყმა კომპანიამ – English Heritage შექმნა. ადრე კომოპანიამ არაერთხელ ჩაატარა ექსპერიმენტები და ცივი დესერტი სხვადასხვა უცნაური გემოებით შესთავაზა კლიენტებს. მაგალითად, ნაყინი კიტრისა და პარმეზანის გემოებით. ამჯერად, კიდევ ერთი ექსპერიმენტის შედეგი ახალი ნაყინია შავი პურის არომატით. მასზე მომხმარებლებს არაერთგვაროვანი მოსაზრებები აქვთ – ზოგმა გემოების ასეთი შერწყმა გააკრიტიკა, ზოგი კი პირიქით, მისით აღტაცებულია. შავი პურის ნაყინი მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე იყიდება და ერთი ცალის ფასი 7 გირვანქა სტერლინგია. როგორც გამოცემა წერს, ახალ ცივ დესერტს საფუძვლად ძველი, გეორგიანული ეპოქის რეცეპტი უდევს.

ერთგულება სიცოცხლეს ახანგრძლივებს

იტალიელი სწავლულები აცხადებენ, რომ ადამიანები, რომლებიც ერთი პარტნიორის მიმართ ერთგულებით გამოირჩევიან, უფრო დიდხანს ცოცხლობენ. ექსპერიმენტები ფლორენციის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ მამაკაცები, რომლებიც აქტიურ სქესობრივ ცხოვრებას ეწეოდნენ და ამასთან, მეორე ნახევრის ერთგულები იყვნენ, ნაკლებად ავადდებოდნენ გულსისხლძარღვთა დაავადებებით და საშუალოდ, უფრო დიდხანს ცოცხლობდნენ. მათ კვლევებში 4 ათასზე მეტმა ძლიერი სქესის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. სწავლულთა თქმით, აქტიური ინტიმური ურთიერთობების შედეგად, მამაკაცის ორგანიზმში მეტი ტესტოსტერონი გამომუშავდება, რაც ამცირებს დეპრესიისკენ მიდრეკილებას, აუმჯობესებს გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობას და ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას უწყობს ხელს. ერთგულება აძლიერებს სტრესისადმი მდგრადობას და ადამიანს ნერვული აშლილობებისგან იცავს.

გადარჩენის შანსი – წყნარი ოკეანე ცივდება



კოლორადოს უნივერსიტეტის სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილი, ყველა კლიმატური მოდელის საწინააღმდეგოდ, გაციებას იწყებს. ბოლო 39 წლის განმავლობაში, იქ ტემპერატურა 0.5 გრადუსით დაეცა – ეს კი ყურადსაღები ცვლილებაა. ოკეანის მნივნელოვანი ფართობის გაციება გავლენას მოახდენს მთელი პლანეტის კლიმატზე. მკვლევართა შეფასებებით, საუკუნის მიწურულს, გლობალური ტემპერატურა შეიძლება მხოლოდ 1.3 გრადუსით გაიზარდოს, ნაცვლად 1.9 გრადუსისა, რასაც ადრე მოელოდნენ. წყნარი ოკეანის გაციება მკვლევარებმა ჯერ კიდევ გასულ წელს შენიშნეს. ჯერჯერობით, გაურკვეველია, ზუსტად რით არის გამოწვეული წყლის ტემპერატურის კლება, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს ანტარქტიკის ნადნობ წყლებს უკავშირდება, რასაც კლიმატური მოდელების შექმნისას, ხშირად ყურადღებას არ აქცევენ ხოლმე. სწავლულები აცხადებენ, რომ თუ ასეთი ტენდენცია შეიცვლება და ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილი მოულოდნელად გაცხელებას დაიწყებს, შედეგები პლანეტისთვის დამანგრეველი იქნება.

ინდიელები უცხოპლანეტელებისგან დაცვას ითხოვენ

ინდიელების ტომი იკიტუ, რომელიც პერუს დედაქალაქ ლიმადან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს, დახმარებისთვის ხელისუფლებას მიმართავს და მათ რეგიონში შეიარაღებული ძალების განლაგებას ითხოვს. ადგილობრივი ტომი უცნაური არსებების თავდასხმებზე ჩივის, რომლებიც უცხოპლანეტელებს ჰგვანან. იკიტუს წარმომადგენლების თქმით, ეს არსებები მათ უკვე ერთი თვეა, ტერორში ამყოფებენ. ისინი ორმეტრიანები არიან, ასევე, დიდი თავითა და ყვითელი თვალებით გამოირჩევიან. ინდიელების თქმით, უცხოპლანეტელებს ერთ წამში შეუძლიათ გაქრობა, ცეცხლსასროლი იარაღი კი მათ ზიანს ვერ აყენებს. ამბობენ, რომ ერთ-ერთი მათგანი ბავშვს დაესხა თავს და კისერზე დაკაწრა.

ბიონსემ მეტროს მუშაობა გაახანგრძლივა

პოპულარულმა მომღერალმა ბიონსემ 100 ათასი დოლარი გადაიხადა იმისთვის, რომ ვაშინგტონში, მეტროს ერთი საათით გაეხანგრძლივებინა მუშაობა. ბიონსეს კონცერტი დედაქალაქში, უამინდობის გამო, თითქმის ორი საათით გადაიდო. შოუს მაყურებელს რომ მეტროთი სახლში წასვლა მოესწრო, მომღერალმა საზოგადოებრივი ტრანსპორტის დამატებითი სამუშაო საათისთვის თანხა გადაიხადა. ვაშინგტონის მეტროს თითქმის 100 სადგური ღია იყო გამოსასვლელად, შესვლა კი მორგანის ბულვარზე შეიძლებოდა, სადაც მდებარეობს სტადიონი და სადაც ბიონსეს კონცერტი ჩატარდა. ამჟამად, სახელოვანი მომღერალი მსოფლიო ტურნეში – Renaissance იმყოფება. ეს შემსრულებლის მეცხრე საკონცერტო ტურია, რომელიც ოქტომბრამდე გაგრძელდება.

„ბარბის“ რეჟისორი რეკორდსმენია

Variety-ს ინფორმაციის თანახმად, „ბარბის“ პრემიერიდან 17 დღის შემდეგ, ფილმის შემოსავალმა ერთ მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რაც გრეტა გერვიგის დამსახურებაა. ის პირველი რეჟისორი ქალია, რომლის ფილმმაც ამ დონის წარმატებას მიაღწია. კრისტოფერ ნოლანის „ოპენჰაიმერის“ საკასო შემოსავალმა, რომლის პრემიერაც იმავე დღეს შედგა, 552 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს რეჟისორის მეექვსე ფილმია, რომლიოს შემოსავალმაც 500 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ამ ორმა სურათმა კინოინდუსტრიაში გადატრიალება მოახდინა, ამ ფენომენს „ბარბენჰაიმერსაც“ უწოდებენ. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ „ბარბის“ ასეთი წარმატება ნამდვილად მოულოდნელი იყო. დიდწილად, ეს ფილმის მარკეტინგულ კამპანიას უკავშირდება, რომელმაც მაყურებლებში ინტერესი და მოლოდინი გააღვივა.

მომღერალმა მძღოლები 100 ათასით დაასაჩუქრა

პოპულარულმა ამერიკელმა მომღერალმა, ტეილორ სვიფტმა აშშ-ში, „ერას“ ტურის ბოლო კონცერტები გამართა. ახლა ის მსოფლიო ტურნესთვის მზადებას შეუდგა. ამერიკის ნაწილის დასრულების აღსანიშნავად, ტეილორმა ტურის ყველა თანამშრომელს, ყველა მონაწილეს ბონუსები გადასცა, მათ შორის, იმ სატვირთოების მძღოლებსაც, რომელთაც მომღერლის შოუსთვის აღჭურვილობა გადაჰქონდათ. სვიფტს ამ საქმისთვის, დახლოებით, 50 მძღოლი ემსახურებოდა და თითოეულ მათგანს მან საჩუქრად 100-100 ათასი დოლარის ბონუსი გამოუწერა. სტანდარტული ბონუსი, დაახლოებით, 5 ათას დოლარს შეადგენს, ამიტომ ამხელა თანხა ჩვენთვის დაუჯერებელი იყო და თავიდან ხუმრობა გვეგონაო, – ამბობდნენ გახარებული მძღოლები.

„მადლობა, „ერას“ ტურზე არაჩვეულებრივად შესრულებული სამუშაოსთვის. შენი დამსახურებული ბონუსია 100 ათასი დოლარი. სიყვარულით, ტეილორი“, – ასეთი შინაარსის ბარათები მიიღეს მათ მომღერლისგან. პოპულარულმა ქანთრი-პოპ შემსრულებელმა სულ 55 მილიონი დოლარის ბონუსები დაარიგა და ყველა თანამშრომელი დაასაჩუქრა.

შამპანური მეხსიერებისთვის

სწავლულებმა, ნისლიანი ალბიონიდან, განაცხადეს, რომ მეხსიერების შენარჩუნების ყველაზე სასიამოვნო მეთოდს მიაკვლიეს. რედინგის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევებმა დაადასტურა, რომ მცირე რაოდენობით შამპანურის მიღება ააქტიურებს ტვინის იმ უჯრედებს, რომლებიც ახალი ინფორმაციის მიღებასა და ძველის შენახვაზე არიან პასუხისმგებელნი. აქედან გამომდინარე, თუკი კვირაში ერთხელ, ერთ ბოკალ შუშხუნა ღვინოს მიირთმევთ, ცინცხალ გონებას შეინარჩუნებთ. ადრე სწავლულებს მიაჩნდათ, რომ ასეთი დადებითი თვისება მხოლოდ წითელ ღვინოს ჰქონდა, რადგან ის დიდი რაოდენობით შეიცავს ფლავანოიდებს. მართალია, შამპანური და სხვადასახვა სახის ცქრიალა ღვინო მსგავს ნივთიერებებს არ შეიცავს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეხსიერებაზე მაინც საკმაოდ დადებითი გავლენა აქვთ. ამ გავლენას კი მკვლევარები სასმელში ფენოლებისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებების არსებობას უკავშირებენ.

დიასახლისის შრომა შეაფასეს

ამერიკელი სწავლულები შეეცადნენ, დაედგინათ, რა ენერგიას ხარჯავს ერთი ჩვეულებრივი დიასახლისი დღის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ ქალებს საოჯახო საქმე იმდენივე ენერგიას ართმევს, რამდენსაც ფეხბურთელებს – ზედიზედ ორი მატჩი, ველომრბოლელებს – 80-კილომეტრიანი დისტანცია და ჩიგბურთელებს – ორსაათიანი შეხვედრა. დედას ბავშვის მოვლა იმდენივე ოფლისღვრად უჯდება, რაც მორაგბეს – მატჩის ნახევარი. მეცნიერებმა ისიც გამოთვალეს, რომ აქტიური რვასაათიანი სამუშაო დღის შემდეგ, დიასახლისი 1582 კალორიას წვავს.

კიბო გადამდებია?



ამგვარ ვარაუდს კანადის პერსპექტიული კვლევების ინსტიტუტის სწავლულები გამოთქვამენ. მათი თქმით, რამდენიმე არაინფექციური დაავადება, მაგალითად, სიმსივნე, ჭარბწონიანობა, გულსისხლძაღვთა დაავადებები და დიაბეტი, შესაძლოა, ადამიანიდან ადამიანზე გადავიდეს. ამ ჰიპოთეზას მკვლევარები მიკრობიომის გადაცემის შესასძლებლობით ხსნიან. მირკობიომი ტრილიონობით მიკროორგანიზმის ერთობლიობაა. მასში შედის არა მხოლოდ ბაქტერიები, არამედ, სოკოვანი ინფექციები და ვირუსებიც. სწავლულთა ვარაუდით, ორი ადამიანის კონტაქტის ან ერთ სივრცეში ყოფნისას, მიკრობიომი, შესაძლოა, ერთი მათგანიდან მეორეზე გადავიდეს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გულსისხლძარღვთა დაავადებებსა და კიბოს არაინფექციურ დაავადებებად მიიჩნევს.

ოდრის კაბას აუქციონზე გაყიდიან

Givenchy-ს ბრენდის ვარდისფერი კაბა, რომელიც შეუდარებელ ოდრი ჰეპბერნს საკულტო ფილმში – „საუზმე ტიფანისთან“ ეცვა, აუქციონზე გაიყიდება. ვაჭრობა სექტემბერში, ბევერლი-ჰილზზე, Julien’s-ისა და Turnen Classic Movies-ის აუქციონზე შედგება. მთლიანობაში, 1400-ზე მეტი მოდური ნივთი იქნება წარდგენილი ჰოლივუდიდან, მათ შორის, გრეტა გარბოს, ელიზაბეტ ტეილორის, ჯუდი გარლანდისა და ვივიენ ლის კოსტიუმები. ოდრის ვარდისფერი კაბა, რომელიც აბრეშუმის ორგანზასგანაა შეკერილი და მაქმანებითა და ბისერებითაა გაწყობილი, მოდის სახლის დამფუძნებლის, იუბერ დე ჟივანშის შექმნილია. აუქციონზე ამ ლოტის სავარაუდო ღირებულება 300 ათასი დოლარია.

იუბილე ძაღლებთან ერთად აღნიშნა

აშშ-ში, კალიფორნიელი რობერტ მურის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად, 200-ზე მეტი ძაღლი მიიყვანეს. Fox News-ის ცნობით, მამაკაცი მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს. მას ყოველთვის ძალიან უყვარდა ძაღლები, უხაროდა, როცა ქალიშვილი ელისონი მის მოსანახულებლად მიდიოდა და თან თავისი ძაღლიც მიჰყავდა. ორი წლის წინ, მისი ოთხფეხა მეგობარი მოკვდა და ქალიშვილი მამასთან უკვე მეგობრების ძაღლებით მიდიოდა ხოლმე. საუკუნოვან იუბილეზე ქალმა გადაწყვიტა, მამისთვის სიურპრიზი გაეკეთებინა. მან სოციალურ ქსელში განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ძაღლების პატრონებს, რობერტის დაბადების დღის პატივსაცემად, „შინაურ ცხოველთა აღლუმზე“ მისვლა სთხოვა. ელისონს იმედი ჰქონდა, რომ 20-მდე ცხოველს მაინც მოაგროვებდა. თუმცა, მურის იუბილეს 200-ზე მეტი ძაღლი დაესწრო. მამა ქალიშვილის საჩუქრით მეტად კმაყოფილი დარჩა. ყველა ოთხფეხა სტუმრის მოსაფერებლად, მოხუცს ორი საათი მაინც დასჭირდა.

ყველაზე სწრაფი აკუმულატორი შექმნეს

ნიდერლანდელი სწავლულების მიერ შექმნილი აკუმულატორის წყალობით, ელექტრომობილების დამუხტვა ახლა უკვე სულ რაღაც ოთხ წუთში იქნება შესაძლებელი. სპეციალისტებმა მსოფლიოში ყველაზე სწრაფად დამუხტვადი აკუმულატორი შექმნეს. ის სპორტული რბოლებისთვის განკუთვნილი მანქანებისთვისაა გათვალისწინებული. იდეის ავტორებმა ახალი ტექნოლოგია მოიფიქრეს, რომლის წყალობითაც, დამუხტვის დროს, აკუმულატორი არ ცხელდება. საამისოდ მასში მოათავსეს ფირფიტები გამაგრილებელი სითხით. ერთი ასეთი დამუხტვით, ელექტრომობილს 250 კილომეტრის გავლა შეუძლია.

„ტვიტერის“ ჩიტს აუქციონზე გაყიდიან

BBC-ის ინფორმაციით, „ტვიტერის“ სათაო ოფისზე გამოსახული ლურჯი ჩიტი აუქციონზე გაიყიდება. პლატფორმის მფლობელმა ილონ მასკმა გადაწყვიტა, ამ სოციალურ ქსელთან დაკავშირებული 584 ნივთი, მათ შორის, სან-ფრანცისკოს სათაო ოფისის კედელზე გამოსახული ძველი ლოგო – ლურჯი ჩიტი აუქციონზე გაყიდოს. როგორც მასკი ამბობს, ეს აუქციონი „ტვიტერის“ რებრენდინგს უკავშირდება. ლურჯი ფრინველის საწყისი ფასი 100 ათასი დოლარი იქნება. როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ, ილონ მასკმა „ტვიტერის“ ახალი ლოგო წარადგინა – ცნობილი ლურჯი ჩიტი, შავ ფონზე დატანილმა თეთრმა X-მა ჩაანაცვლა.

გაიღვიძეთ სექსუალურად

ბრიტანულმა კომპანიამ – Gallus Et Mulier, მაღვიძარა-ვიბრატორი Little Rooster S შექმნა. ეს მოწყობილობა სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვისაა განკუთვნილი, რომელთაც შეუძლიათ, ის საცვალზე დაიმაგრონ. ახალ გაჯეტს 30 რეჟიმი აქვს და ის ადამიანს მზარდი ვიბრაციებით აღვიძებს. ამ მაღვიძარას ღირებულება 90 დოლარია და ჯერჯერობით, ის მხოლოდ ორ – თეთრ და ვარდისფერ ფერებშია წარმოდგენილი. „გაიღვიძე სექსუალურად“ – ასეთია ახალი გაჯეტის სარეკლამო რგოლის სლოგანი. პროდუქტის მიწოდება აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში უფასოა, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს, მის შესაძენად, დამატებით 9 დოლარის გადახდა მოუწევთ.

ვეგეტარიანელობა დეპრესიას იწვევს

კვლევების თანახმად, რომელიც ბრისტოლის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს, ვეგეტარიანელები დეპრესიის განვითარების უფრო მაღალ რისკქვეშ არიან, ვიდრე ისინი, რომელთა რაციონიც დაბალანსებულია და ხორცის პროდუქტებსაც შეიცავს. 10 ათასი ადამიანის მონაცემების გაანალიზების შედეგად, სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ვეგეტარიული დიეტის მიმდევრებს ორჯერ უფრო ხშირად აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობის გამო. ვეგეტარიანებელს არ ჰყოფნით ბე-12 ვიტამინი, რომელსაც ხორცეული შეიცავს და რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს განწყობის დარეგულირებაში. კვლევების შედეგად მიღებული მონაცემებით, ვეგანების 50% და ვეგეტარიანელების 7% ამ ვიტამინის დეფიციტს განიცდის. გარდა ამისა, მცენარეული რაციონის მიმდევრები იშვიათად მიირთმევენ ზღვის პროდუქტებს, რაც, თავის მხრივ, შეიძლება, დეპრესიული სიმპტომების განვითარების მიზეზად იქცეს. რაციონში რკინის ნაკლებობა კიდევ ერთი მიზეზია, რის გამოც შესაძლოა, ვეგეტარიანელები განწყობის აშლილობას უჩიოდნენ.

გახდომის მსურველებმა ლურჯი ფერი ჩაიცვით

ზედმეტი კილოგრამების მოშორება ყველა ადამიანის სურვილია, მაგრამ ამის გაკეთება არც ისე ადვილია, რადგან ხშირად, მადა ნებისყოფაზე იმარჯვებს. ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ თურმე, ტანსაცმლის ფერიც დიდ როლს თამაშობს მადის გაძლიერებაში, ვიდრე ფიზიოლოგიური მაჩვენებელი. იმ ადამიანებს, რომლებსაც ცივი შეფერილობის – ლურჯი, იისფერი, ჟოლოსფერი, ნაცრისფერი, შავი და თეთრი ტანსაცმელი აცვიათ, ზომიერი მადა აქვთ, შეუძლიათ, ნებისმიერ დროს უარი თქვან ჭამაზე. ნარინჯისფერი, კრემისფერი და კაკაოსფერი – აძლიერებს ლტოლვას ტკბილეულისადმი, ასტიმულირებს მადას, ცხიმიანი საკვების მოთხოვნილებას, აუმჯობესებს განწყობას. ლურჯის, ცისფერის, მწვანესა და ფირუზისფერის მოყვარულები ბევრად ნაკლებს ჭამენ. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ფერებთან დაკავშირებული ეს კანონზომიერება ვრცელდება არა მხოლოდ ტანსაცმელზე, არამედ, ჭურჭელზეც. მაგალითად, ნარინჯისფერი არშიით გაწყობილი თეთრი თეფში ქალების მადის „მთავარი მტერია“. სამაგიეროდ, კარგი „დიეტოლოგია“ იისფერი ან ლურჯორნამენტებიანი ცისფერი თეფში. ასე რომ, მშვენიერო ქალბატონებო, თუ წონაში დაკლება გსურთ, გაითვალისწინეთ ექსპერტების რჩევა და თქვენი ტანსაცმლის ან ჭურჭლის ფერი შეცვალეთ. მაგრამ შეეცადეთ, ექსპერიმენტები გატაცებად არ გექცეთ.

ბანკის ვალი ნანგრევებით გადაიხადა

ბულგარეთში, ერთ-ერთი ოჯახის მეთაური გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც სამწუხაროდ, დღევანდელობისთვის უკვე ჩვეულებრივი სიტუაციაა, თითქმის მთელ მსოფლიოში. კრედიტის ასაღებად საკუთარი, ერთადერთი სახლი დააგირავა, ბანკის ვალის გასტუმრება კი ვერ შეძლო. თუმცა, მსგავს სიტუაციაში აღმოჩენილი სხვა ადამიანებისგან განსხვავებით, ბულგარელმა მეტად უჩვეულო გამოსავალი მოძებნა: ექსკავატორი დაიქირავა, საკუთარი სახლი საძირკვლამდე დაანგრია და ეს ნანგრევები ბანკში წაიღო. არა, ის არ გაგიჟებულა დარდისგან. საქმე ის არის, რომ ხელშეკრულების მიხედვით, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკის საკუთრებაში გადადიოდა მხოლოდ სახლი და არა მიწა, რომელზეც სახლი იყო აშენებული. ოჯახმა მოითათბირა და გადაწყვიტა, რომ დაენგრიათ უკვე სხვის საკუთრებაში არსებული შენობა და ის ბანკისთვის „მიეცათ“, მიწაზე კი, დროთა განმავლობაში, ახალი სახლი აეშენებინათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ვიდრე ოჯახი ასეთ რადიკალურ ნაბიჯს გადადგამდა, ბანკთან მოლაპარაკება სცადა, მაგრამ მენეჯერმა უარი განაცხადა – ბანკის წესები არავითარ გამონაკლისს არ ითვალისწინებსო.

მარტოხელებისთვის ოჯახებსაც აქირავებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში (ასევე, ჩინეთში, კორეასა და სხვა ქვეყნებშიც), ბევრი კომპანია მუშაობს, რომელიც ადგილობრივებს სთავაზობს დაიქირაონ დროებითი მეგობარი, მეუღლე, პარტნიორი, ან სულაც, ოჯახის წევრი. ამჯერად, ერთ-ერთი ფირმა მათ მთლიანი „ოჯახის დაქირავების“ სერვისს სთავაზობს. ფირმის მფლობელები აცხადებენ, რომ ასეთი მომსახურება ადამიანს ბედნიერებას ანიჭებს. ის მათთვის არის განკუთვნილი, რომლებმაც ახლობლები დაკარგეს და მარტონი დარჩნენ. ქირავდება მთლიანი ოჯახი, ასევე პარტნიორი, ვისაც კულტურულ ღონიძიებაზე, ან ქორწილში წასვლა სურს. ოჯახის დაქირავების მსურველმა სპეციალური ანკეტა უნდა შეავსოს და მიუთითოს, ვინ სჭირდება. კომპანიების ბაზაში, დაქირავების სერვისში ჩართული 2 ათასამდე მსახიობია. ისინი ხან მშობლების, ხან პარტნიორის, ხან კი ოჯახის წევრების როლში არიან.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.